



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს წინააღმდეგ”

(საჩივარი №9103/04)

ბაღაწყვეტილება

სტრასბურგი

2008 წლის 8 ივლისი

საბოლოო ბახდა

08/10/2008

*წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ
გადახინჯვას*

საქმეზე საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მორე სექცია);
პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

*ფრანსუა ჯ ტულკენსი - პრეზიდენტი
ირენეუ კაბრალ-ბარეტო,
რიზა ტიურმენი,
მინდია უგრეხელიძე,
ვლადიმერო ზავრებელსკი,
ანტონელა მულარონი,
დრაგოლიუბ პოპოვიჩი, მოსამართლეები
და ხალი დოლე - სასამართლოს მდივანი*

განიხილა რა საქმე 2007 წ. 4 სექტემბერსა და 2008 წ. 17 ივნისს, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება.

პროცედურა

1. საქმე, რომელიც საქართველოს ლეიბორისტული პარტიის („მომჩივანი პარტია“) მიერ 2003 წ. 16 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა (განცხადების №9103/04) საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის („კონვენცია“) მიხედვით.

2. სასამართლოს წინაშე მომჩივანი პარტია წარმოდგენილ იქნა შალვა ნათელაშვილის სახით, პარტიის თავმჯდომარე. მომჩივანი პარტიის პირველი წარმომადგენელი ღია მუხაშავრია 2007 წ. 20 თებერვალს შეცვალა გოგიტა მამფორიამ, ქეთევან უტიაშვილმა და მარინე ცუცქირიძემ, საქართველოში მოქმედმა იურისტებმა. 2007 წ. 24 ივნისს, მომჩივანმა პარტიამ საკუთარ წარმომადგენლად დანიშნა ქნი ჯოანა რინკეანუ, გერმანიაში მოქმედი ადვოკატი, სასამართლოზე ზეპირი სასამართლო წარმოებისათვის.

3. საქართველოს მთავრობა („მთავრობა“) შესაბამისად წარმოდგენილი იყო იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებით, ბესარიონ ბოხაშვილი და დავით თომაძე.

4. მომჩივანი აპროტესტებდა მისი უფლებების დარღვევას, № 1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი და კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, 2004 წ. 28 მარტს, განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების დროს, ადგილობრივი საარჩევნო მექანიზმების შედეგად და ორ საარჩევნო უბანში დაახლოებით 60.000 ამომრჩევლისთვის საარჩევნო ხმის უფლების უკანონოდ ჩამორთვევის თაობაზე.

5. 2006 წ. 18 სექტემბერს, მთავრობამ წარმოადგინა თავისი არგუმენტები საქმის არსთან და მის შესაბამისობასთან დაკავშირებით. მომჩივანი არ წარმოადგინა საპასუხოდ შენიშვნები.

6. 2007 წ. 22 მაისის საბოლოო გადაწყვეტილებაში, სასამართლო დასაშვებად აცხადებს მომჩივანი მხარეს მიერ წარმოდგენილი საქმის განხილვას.

7. საქმის მოსმენა საჯაროდ გაიმართა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შენობაში, სტრასბურგში, 2007 წ. 4 სექტემბერს (რეგლამენტის 59§3 მუხლი).

სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

(ა) მთავრობის წარმომადგენლები:

დ. თომაძე – წარმომადგენელი

გ. ჩალაგაშვილი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

ა. ანასაშვილი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურისტი;

(ბ) მომჩივანი მხარე:

ჯ. რინკეანუ – ადვოკატი;

შ. ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე ;

მ. ბეკოვი და დ. ჩადაძე-პოლმანი – მრჩეველები.

სასამართლომ მოისმინა დ. თომაძის, გ. ჩალაგაშვილის, ა. ანასაშვილისა და ჯ. რინკეანუს მიმართვები.

8. მომჩივანმა პარტიამ სასამართლო სხდომაზე წარმოადგინა თავისი პრეტენზიები. 2007 წ. 23 ოქტომბერს მთავრობამ წარმოადგინა თავისი კომენტარები ამ საჩივარზე.

9. 2008 წ. 1 თებერვალს, სასამართლოს შემადგენლობა შეიცვალა, თუმცა წარმოდგენილი საქმე კვლავაც დარჩა ყოფილ მეორე სექციას 2.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

10. მომჩივანი მხარე წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიას

1. „ვარდების რევოლუცია“

11. 2003 წ. 20 ნოემბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ („ცესკო“) გამოაცხადა 2003 წ. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები, რომლის მიხედვით, შვიდმა პარტიამ გადალახა 7%-იანი ბარიერი, საარჩევნო კოდექსის 105-ე (6) მუხლის მიხედვით (“EC” – „საარჩევნო კოდექსი“; §44). ოპოზიციური პარტია, სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა, მესამე ადგილზე გავიდა ხმათა 18.04%-ით (32 ადგილი პარლამენტში), მათ მოჰყვებოდა მომჩივანი პარტია ხმათა 12.04%-ით (20 ადგილი) და გაერთიანებული დემოკრატები,

კოალიცია რომელსაც სათავეში პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ბურჯანაძე ედგა, ხმათა 8.79% –ით (15 ადგილი).

12. დამკვირვებლების მიერ განცხადებული ამომრჩეველთა ხმების გაყალბების უამრავი ფაქტის საფუძველზე, სააკაშვილი–ნაციონალური მოძრაობა და გაერთიანებული დემოკრატები არ აღიარებდნენ საარჩევნო შედეგებს. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერით მათ პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა მოითხოვეს. როდესაც ახლად არჩეული პარლამენტი შეიკრიბა პირველ სხდომაზე, 2003 წ. 22 ნოემბერს, ოპოზიცია ძალით შეიჭრა პარლამენტის შენობაში, ჩაშალა პრეზიდენტის გამოსვლა და პარლამენტის წევრები შენობიდან გამოდევნა (“MPs”–„პარლამენტის წევრები“).

13. 2003 წ. 23 ნოემბერს ე. შევარდნაძე გადადგა და ნ. ბურჯანაძე გახდა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, როგორც კონსტიტუციაშია განსაზღვრული. ეს მოვლენები მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც “ვარდების რევოლუცია“.

2. 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები

14. გამომდინარე იქიდან, რომ 2003 წ. ნოემბერში არჩეული პარლამენტი რევოლუციონერმა ძალებმა გამოდევნეს პარლამენტის შენობიდან, დროებითმა ხელმძღვანელობამ მოიწვია 1999 წელს არჩეული პარლამენტის სხდომა (კონსტიტუციის 50–2 მუხლი, § 4; §42 ქვემოთ), იმ დრომდე სანამ ახალი პარლამენტი იქნებოდა არჩეული.

15. 2003 წ. 25 ნოემბერს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ბათილად სცნო ცესკოს მიერ 2003 წ. 20 ნოემბერს გამოცხადებული შედეგები, პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების ნაწილში. მაჟორიტარული არჩევნების შედეგები ძალაში დარჩა.

16. 2003 წ. 28 ნოემბერს, ექს-პრეზიდენტის მიერ დანიშნული ცესკოს თავმჯდომარე გადადგა. 2003 წ. 30 ნოემბერს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ცესკოს 5 წევრი გაათავისუფლა, რომლებიც ასევე ექსპრეზიდენტის მიერ იყვნენ დანიშნულები და პარლამენტმა აირჩია ცესკოს ახალი თავმჯდომარე, კანდიდატურა წარდგენილი იყო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ.

17. იმის გათვალისწინებით, რომ 2003 წ. 25 ნოემბერს უზენაესი სასამართლოს მიერ 2003 წ. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, 2003 წ. 2 დეკემბერს ცესკოს თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება №167/2003, რომლითაც განისაზღვრა განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების თარიღი (“განმეორებითი არჩევნები”), საარჩევნო კოდექსის 106§4 მუხლი; განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების თარიღი – 2004 წ. 25 იანვარი. იმავე დღეს, ცესკოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს (ბრძანება №50/2003), გადაწეულიყო არჩევნების თარიღი, იმ მიზეზით, რომ თითქმის შეუძლებელი იქნებოდა ასეთ მოკლე პერიოდში არჩევნების შესაბამისი ადმინისტრირება. ეს განცხადება საბოლოოდ დაკმაყოფილდა 9 იანვარს, 2004 წელი და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ განმეორებითი არჩევნები დაინიშნა 2004 წ. 28 მარტს.

18. მომხივანი პარტია ასევე ასახივრებს ცესკოს ბრძანებას №167/2003, აცხადებს რა რომ ცესკო არასწორად დაეყრდნო 106–2 §4 მუხლის ნაცვლად საარჩევნო კოდექსის 105§17 მუხლს, როცა განმეორებითი არჩევნების თარიღი განსაზღვრა. 2003 წ. 8 დეკემბრის სასამართლოს გადაწყვეტილებით, თბილისის საოლქო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო ეს სარჩელი, იმ მიზეზით, რომ მომხივანი პარტიას არ ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი. 2003 წ. 26 დეკემბერს, ეს სასამართლო გადაწყვეტილება გააუქმა უზენაესმა სასამართლომ, იმის გამო, რომ მომხივანი პარტია მონაწილეობდა არჩევნებში, არსებობდა პირდაპირი და შედეგობრივი კავშირი მის ინტერესებს და ცესკოს გადაწყვეტილებებს შორის. თუმცა უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეს საჩივარი, როგორც უსაფუძვლო.

19. 2003 წ. 7, 9 და 12 დეკემბერს ცესკომ გამოსცა ბრძანებები, რომლის მიხედვითაც ამომრჩევლები უნდა მისულიყვნენ საარჩევნო უბნებში და შეეცნოთ სპეციალური ფორმები; ეს შესაძლებელს გახდიდა მიეღოთ საარჩევნო ბიულეტენი 2004 წ. 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის.

20. სხვა თპოზიციურ პარტიებთან ერთად, მომხივანმა პარტიამ ამ პროცესების კანონიერება სასამართლოში გაასაჩივრა. 2003 წ. 15 დეკემბერს, თბილისის საოლქო სასამართლომ სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია და წარმოებაში არ მიიღო. სასამართლოს განცხადებით, მომხივან პარტიას არ ჰქონდა დაზარალებული მზარის სტატუსი, რადგან მან ვერ აჩვენა თუ რა პირდაპირი და განსაკუთრებული ზიანი მიაღება მის ინტერესებს საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის პროცედურის შედეგად.

21. 2004 წ. 15 იანვარს მ. სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად გამოცხადდა. 2004 წ. 31 იანვრის ბრძანებულებით, ახალმა პრეზიდენტმა ცესკოში 5 წევრი დანიშნა, რომელთაგან ერთს მიენიჭა უფლებამოსილება დაენიშნა ხუთი წევრი საოლქო საარჩევნო კომისიაში, საარჩევნო კოდექსის 128-ე (1) მუხლის § 4 შესაბამისად..

22. 2004 წ. 21 თებერვალს, 19 პოლიტიკური პარტია და ბლოკი დარეგისტრირდა კანდიდატად ცესკოში განმეორებითი საპარლამენტო არჩევნებისათვის, მათ შორის იყო მომხივანი პარტია და მმართველი კოალიცია პრეზიდენტის ნაციონალური მოძრაობისა და ნ. ბურჯანაძის გაერთიანებული დემოკრატების სახით. მანამდე 2002 წელს ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვა თბილისის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არჩევნებში.

23. 2004 წ. 27 თებერვალს, განმეორებითი საპარლამენტო არჩევნებისათვის ცესკომ მიიღო კიდევ ერთი გადაწყვეტილება (№30/2004), რომლის მიხედვითაც საუბნო საარჩევნო კომისიებში უნდა ყოფილიყო ამომრჩეველთა წინასწარი სიები, მონაცემები, რომლებიც შეგროვდა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის დროს. 2004 წ. 8-21 მარტს, ამომრჩევლები უნდა მისულიყვნენ საარჩევნო უბნებში და დაედასტურებინათ საკუთარი გვარების არსებობა სიებში. თუ ამომრჩეველი აღმოაჩენდა, რომ ის სიაში არ იყო, მაშინ მას უნდა გაეკეთებინა შესაბამისი განცხადება შესაბამის საარჩევნო საუბნო კომისიაში. 2004 წ. 21 მარტს, საუბნო საარჩევნო კომისიებს უნდა გადაეგზავნათ წინასწარი საარჩევნო სიების შესწორებული ვერსიები შესაბამისს საოლქო საარჩევნო კომისიებში, რომელსაც უნდა დაედგინა

საბოლოო საარჩევნო სიები და შემდეგ გადაეგზავნა ისევ საუბნო საარჩევნო კომისიებში შემდგომი საჯარო შემოწმებისათვის. 2004 წ. 23-27 მარტს, ამომრჩევლებს ისევ უნდა გადაემოწმებინათ საბოლოო სიები და გაეკეთებინათ საჩივარები სააჭირო შესწორებების შესახებ თუ ეს აუცილებელი გახდებოდა. აღნიშნული ბრძანებულება ასევე ითვალისწინებდა იმ ამომრჩევლების, რომლებიც არ აღმოჩნდებოდა წინასწარი რეგისტრაციის სიებში, დამატებას სიებში არჩევნების დღეს.

24. ამომრჩეველთა რეგისტრაციის ასეთი სისტემის შემოღების გონივრულობა საჯარო განცხადებაში ახსნა ცესკოს თავმჯდომარემ: *“თუ ამომრჩეველს არ სურს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, არ არის ჩართული პოლიტიკაში, არ სურს სახელმწიფოსთან თანამშრომლობა, მაშინ სახელმწიფოსაც არ გააჩნია არანაირი ვალდებულება უზრუნველყოს ასეთი ამომრჩევლის არსებობა ერთიან საარჩევნო სიაში”*.

25. განმეორებითი პროპორციული არჩევნები გაიმართა, როგორც დაგეგმილი იყო, 2004 წ. 28 მარტს. საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში შესული იყო არაერთი საჩივარი არჩევნების დღეს მომხდარი დარღვევების თაობაზე, მათ შორის ცესკოშიც.

26. 2004 წ. 2 აპრილს, ცესკომ გამოსცა ბრძანება №82/2004, რომლის მიხედვითაც ბათილად გამოცხადდა არჩევნების შედეგები ხულოსა და ქობულეთის ოლქების ყველა საუბნო საარჩევნო კომისიაში, (№81 და 84) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (“ა/რ”), სადაც შესაბამისად რეგისტრირებული იყო 42,011 და 17,263 ამომრჩეველი. ცესკომ არ განმარტა თუ რის საფუძველზე მიიღო ხმების გაბათილების შესახებ გადაწყვეტილება. ის უბრლოდ აღნიშნავდა, რომ ამ 2 საოლქო კომისიაში შემოსული იყო საჩივრები საარჩევნო დარღვევების შესახებ. აღნიშნული საჩივრების საფუძველზე უნდა დაწყებულიყო ცესკოს მიერ საგამოძიებო ღონისძიებები, რაც გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსის 105§13 მუხლით. მიუხედავად ამისა, ცესკოს განცხადებით *“საჩივრებში არსებული დარღვევების განხილვამ”* აჩვენა, რომ აზრი არ ჰქონდა ასეთი ღონისძიებების ჩატარებას. შესაბამისად, სადაო საარჩევნო შედეგები ხულოსა და ქობულეთში უნდა გაუქმებულიყო, საარჩევნო კოდექსის 105§12 მუხლის მიხედვით, ამ უბნებში არჩევნები ჩატარდებოდა განმეორებით. განისაზღვრა ახალი თარიღი – 2004 წ. 18 აპრილი (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ §50 და 53).

27. 2004 წ. 6 აპრილს, ცესკომ გამოსცა გადაწყვეტილება პროცედურების წესების შესახებ (ბრძანება №45/2004) ხულოსა და ქობულეთის რეგიონის სხვადასხვა საარჩევნო უბნებში საარჩევნო სიების თაობაზე. როგორც მანამდე, 2004 წ. 4 იანვრის საპრეზიდენტო და 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების დროს, ამჯერადაც ამომრჩევლები უნდა მისულიყვნენ საარჩევნო უბნებში, იმისათვის, რომ აღმოეჩინათ საკუთარი გვარები საარჩევნო სიებში.

28. 2004 წ. 18 აპრილს, არჩევნების დღეს, ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო უბნები არ გაიღო (იხილეთ §50 ქვემოთ). იმავე დღეს, მოხდა 28 მარტის განმეორებითი არჩევნების შედეგების დათვლა. ცესკოს განცხადებით, დათვლილი იყო 1,498,012 ხმა, მაშინ როცა რეგისტრირებული იყო 2,343,087 ამომრჩეველი. განმცხადებლის პარტიამ მიიღო ხმათა 6.01%, რაც არ აღმოჩნდა

საკმარისი 7%-იანი ბარიერის გადასალახად და პარლამენტში მანდატების მოსაპოვებლად.

29. 2004 წ. 18 აპრილის ცესკოს სხდომის ჩანაწერების მიხედვით, განმცხადებლის პარტიის წარმომადგენლმა, რომელიც ცესკოს 15 წევრიდან ერთ-ერთი იყო, გააპროტესტა არჩევნების საბოლოო შედეგები. წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ ცესკო ვერ გამოაცხადებდა მთელი ქვეყნის მასშტაბით არჩევნების ჩატარებას კანონიერად, რადგან ხულოსა და ქობულეთის ოლქებში არჩევნები არ ჩატარებულა. ცესკოს თავმჯდომარის განცხადებით, ის რომ საარჩევნო უბნები არ გაიხსნა ამ ოლქებში, ეს იყო აჭარის ხელისუფლების ბრალი. მან აგრეთვე დასძინა, რომ მაშინაც კი თუ ამ ოლქებში ჩატარდებოდა არჩევნები, ეს ფაქტი დიდი გავლენას არ მოახდენდა საბოლოო შედეგებზე. ხმების უმრავლესობით თავმჯდომარის წინადადება შედეგების დამტკიცების თაობაზე მიღებულ იქნა და საარჩევნო კოდექსის 105-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე მიღებულ იქნა შესაბამისი ბრძანებულება (№94/2004).

30. 2004 წ. 22 აპრილს, მოწვეულ იქნა ახლად არჩეული პარლამენტი პირველი სხდომის ჩასატარებლად. რამდენიმე კვირიანი დაძაბულობის შემდეგ, 2004 წ. 6 მაისს აჭარის ა/რ მეთაური ა. აბაშიძე გადადგა და ქვეყანა დატოვა.

3. მომჩივანი მხარის მიერ მიღებული ზომები

(ა) პროცესუალური ღონისძიებები უზენაეს სასამართლოში

31. 2004 წ. 20 აპრილს მომჩივანი პარტიამ მიმართა უზენაეს სასამართლოს და გაასაჩივრა ბრძანება № 94/2004 (§29 ზემოთ). გარდა ძირითადი მოთხოვნისა, რომელიც გულისხმობდა ბრძანების ანულირებას, მომჩივანი პარტი ითხოვდა დროებითი ზომების გამოყენებას, რომლის მიხედვითაც პარლამენტს აეკრძალებოდა შეკრება და პირველის სხდომის გამართვა, სანამ არ გადაწყდებოდა დავა. მომჩივანი პარტიის მტკიცებით, თუ პარლამენტი შეიკრიბებოდა, შეუძლებელი გახდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების განხორციელება, თუკი სასამართლო გადაწყვეტილებას მომჩივანი მხარის სასარგებლოდ მიიღებდა. 2004 წ. 20 აპრილს, უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო საჩივარი, თუმცა, უარი საჩივარა მოთხოვნილი დროებითი ზომების მიღებაზე, რომლის მიზეზადაც დაასახელა ის ფაქტი, რომ საჩივარს ვერ ექნებოდა რამენაირი სუსპენსიური გავლენა საარჩევნო კოდექსის 77-მუხლის §3-ის მიხედვით და კონსტიტუციის 51-ე მუხლის თანახმად ახლად არჩეული პარლამენტი უნდა შეკრებილიყო საარჩევნო შედეგების გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში.

32. მომჩივანი მხარემ წარმოადგინა 4 ძირითადი არგუმენტი უზენაეს სასამართლოში, რომელმაც გადაწყვეტილება სარჩელის არ დაკმაყოფილების შესახებ 2004 წ. 26 აპრილს მიიღო.

33. თავდაპირველად, მომჩივანი მხარე აპროტესტებდა საარჩევნო სიების შედგენის წესს. მისი განცხადებით, ბევრ ამომრჩეველს, რომლებმაც ვერ მოახერხეს წინასწარი რეგისტრაციის პროცედურის გავლა, უარი ეთქვა არჩევნებში მონაწილეობის უფლებაზე არჩევნების დღეს. ამავდროულად

წინასწარი რეგისტრაცია ქმნიდა გარკვეულ „კარუსელს“, რითაც ხდებოდა საარჩევნო ბიულეტენების გაყალბება, ამომრჩევლებს საშუალება ეძლეოდათ, დარეგისტრირებულიყვნენ სხვადასხვა საარჩევნო უბნებში და არჩევნებში მონაწილეობა რამდენჯერმე მიეღოთ. ამ დარღვევების შედეგად, მომჩივანი პარტია ამტკიცებს, რომ მათ დაკარგეს ხმები. იგი აგრეთვე დასძენდა, რომ ცესკოს არ ჰქონდა კომპეტენცია შეეცვალა საარჩევნო სიების შედგენის წესები, რადგან ამის პრეროგატივა მხოლოდ პარლამენტს აქვს, მხოლოდ პარლამენტი იყო ამ შემთხვევაში უფლებამოსილი შეეტანა შესაბამისი ცვლილებები საარჩევნო კოდექსში. გამცხადებელი პარტიის მოსაზრებით, ის ფაქტმა, რომ ბევრმა ამომრჩეველმა ვერ მოახერხა არჩევნებში მონაწილეობის მიღება ახალი წესების გამო და რომ მთავრობას ჰქონდა ტოტალური კონტროლი საარჩევნო ადმინისტრაციაზე, გამოიწვია არჩევნების შედეგების გაყალბება. ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის საარჩევნო კომისიების წარმომადგენლების მიერ მოწოდებული დროის გარკვეულ მონაკვეთებში ამომრჩეველთა მაღალი აქტივობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, მომჩივანი პარტია აცხადებს, რომ არჩევნების დღეს საღამოს 5 და 8 საათებზე სხვადასხვა მაქინაციებით დაახლოებით 500.000 საარჩევნო ბიულეტენი იქნა გამოყენებული პრეზიდენტისა და მისი მხარდამჭერი პარტიების სასარგებლოდ.

34. უზენაესმა სასამართლომ ეს უკანასკნელი საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია, საჩივარა რა, რომ მომჩივანი მხარემ ამ საჩივრის მხარდასაჭერად არ წარმოადგინა შესაბამისი დამამტკიცებელი მასალა. რაც შეეხება ამომრჩეველთა რეგისტრაციის წესებს, სასამართლომ საჩივარა, რომ ცესკომ გამოსცა ბრძანებულება №30/2004 (§23 ზემოთ), რომლის მიხედვითაც მას შესწორებები შეჰქონდა საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის § 12-ში, რომლის მოქმედებაც შეჩერებული იყო 2003 წ. 26 დეკემბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (§45 ქვემოთ). რადგან ბრძანებულება უფლებას აძლევდა ამომრჩევლებს რეგისტრაცია გაეგლოთ არჩევნების დღეს, იმის მტკიცება რომ ამომრჩევლებს, რომლებმაც ვერ გაიარეს წინასწარი რეგისტრაცია, არ მისცეს უფლება არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა უსაფუძვლოა.

35. მეორეს მხრივ, გამცხადებელი აცხადებს რომ მათ წარმომადგენლებს საარჩევნო კომისიების სხვადასხვა ინსტანციებში სხვა წევრებმა არ მისცეს საშუალება შესაბამისად განეხორციელებინათ თავიანთი მოვალეობები. მათ დაემუქრნენ და ინსტრუქციები მისცეს, რომ არ დაეწერათ საჩივრები აღმოჩენილ დარღვევებზე, კერძოდ, ლეიბორისტული პარტიის სასარგებლოდ ხმები მიცემული ჩაითვალა პრეზიდენტისა და პრეზიდენტის მხარდამჭერი პარტიების სასარგებლოდ მიცემულ ხმებად. მომჩივანი მხარის განცხადებით, ასეთი ქმედებების განხორციელება შესაძლებელი გახდა საარჩევნო კომისიების შემადგენლობის გამო, რადგან თითოეულ კომისიაში ყველა დონეზე, 15 წევრიდან 8 იყო პრეზიდენტისა და პრეზიდენტის მხარდამჭერი პარტიების წარმომადგენელი.

36. მესამე, მომჩივანი პარტია აცხადებდა, რომ 2004 წ. 18 აპრილის ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საარჩევნო კოდექსის 105§19 მუხლს, რადგან ის არ განსაზღვრავდა ამომრჩევლებისა და ხმების სრულ რაოდენობას თითოეულ რაიონში.

37. ამ უკანასკნელი არგუმენტების საპასუხოდ, უზენაესმა სასამართლომ საჩივარა, რომ მომჩივანი მხარეს პირველ რიგში უნდა მიემართა რაიონული სასამართლოებისათვის თავიანთი წევრების წინააღმდეგ განხორციელებული მუქარების თაობაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლოს არ უპასუხია საჩივრისთვის, რომელიც შეეხებოდა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას პრეზიდენტის მხარდამჭერთა მიერ. რაც შეეხება ცესკოს მხრიდან ამომრჩეველთა მთლიანი რაოდენობისა და თითოეულ რაიონში ხმების რაოდენობის შესახებ შესაბამისი მონაცემების არ შეტანას ბრძანებულებაში, სასამართლომ საჩივარა, რომ ეს არ იყო საარჩევნო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევა და ამიტომაც არ შეიძლება ის ჩაითვალოს ამ ადმინისტრაციული აქტის გაუქმების საფუძვლად.

38. და ბოლოს, მომჩივანი მხარე აცხადებდა, რომ უკანონო იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო შედეგების გამოქვეყნება, მაშინ როცა არჩევნები არ იყო შემდგარი ხულოსა და ქობულეთის ოლქებში. ამ ფაქტის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ამ ოლქებში იყო დაახლოებით 60.000 ამომრჩეველი და მომჩივანი პარტიას სჭირდებოდა სულ 16.000 ხმა, იმისათვის რომ გადაეღახა 7%-იანი ბარიერი; მისი განცხადებით მათ უკანონოდ ჩამოერთვათ შანსი იმისა, რომ სამართლიანად მოეპოვებინათ ადგილები პარლამენტში. ისინი ამტკიცებენ, რომ ლეიბორისტული პარტია დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა აჭარის მოსახლეობაში.

39. უზენაესმა სასამართლომ შემდეგნაირად უპასუხა ამ საჩივარს::

“სიძარტლეა, რომ განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების შედეგები გაბათილდა ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში და ცესკომ თავის ბრძანებულების ... (2004 წელი, 2 აპრილი) საფუძველზე დანიშნა ახალი არჩევნები ამ რაიონებში. თუმცა, ცნობილი მოვლენების გამო (დაძაბულობა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის), ამ ოლქებში არჩევნები არ ჩატარებულა, ეს გახდა ადმინისტრაციული აქტის გაბათილების საფუძველი (2004 წ. 2 აპრილის ცესკოს ბრძანებულება) საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის § 1 (გ)– ის მიხედვით.”

საარჩევნო კოდექსის 105§3 მუხლის საფუძველზე, უზენაესმა სასამართლო გადაწყვიტა, რომ განმეორებითი არჩევნები არ ჩათვლილიყო ჩატარებულად, რადგან, ხმების რაოდენობის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის მესამედზე მეტმა.

(ბ) კონსტიტუციური ქმედებები

40. მოქმედებდა რა როგორც კერძო პირი, მომჩივანი პარტიის თავმჯდომარემ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა ცესკოს 2004 წ. 27 თებერვლის №30/2004 (საარჩევნო სიების შედგენის წესები) და 2004 წ. 18 აპრილის №94/2004 (ხმების გადათვლა) ბრძანებულებები. ის აცხადებდა, რომ ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის სისტემა, ხულოსა და ქობულეთის მოსახლეობისათვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა და საარჩევნო

ადმინისტრაციაზე საპრეზიდენტო კონტროლი, არღვევდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების კონსტიტუციურ პრინციპს.

41. 2004 წ. 25 მაისის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული საჩივარი არ იქნა მიღებული წარმოებაში. რის მიზეზადაც დასახელდა ის ფაქტი, რომ ვინაიდან ეს იყო ნორმატიული აქტი, სადავო ბრძანებულების განხილვა არ შეიძლება მომხდარიყო საკონსტიტუციო სასამართლოში. რაც შეეხება გასაჩივრებულ ბრძანებას, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანი მხარემ ვერ შეძლო დაესაბუთებინა ის, რომ ნორმატიული აქტი არღვევდა კონსტიტუციურ უფლებებს. მეორეს მხრივ, სასამართლოს განცხადებით, მომჩივანის, როგორც კერძო პირის, არ ჰქონდა სტატუსი, უფლებამოსილება გაესაჩივრებინა არჩევნების კონსტიტუციურობა, ამის უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის 37-ე ნაწილის მიხედვით ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის განსაზღვრულ წევრებს.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

42. საქართველოს კონსტიტუცია, 2004 წ. 6 თებერვლამდე არსებული რედაქციით:

მუხლი 50 § 4

“წინა მოწვევის პარლამენტის მანდატი დაუყოვნებლივ შეწყდება მას შემდეგ რაც პირველ სხდომას გამართავს ახლად არჩეული პარლამენტი.”

მუხლი 51

“ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართება არჩევნებიდან 20 დღის ვადაში. პირველი სხდომის თარიღი განისაზღვრება პრეზიდენტის მიერ. პარლამენტი შეუდგება მუშაობას, მას შემდეგ, რაც პარლამენტის წევრების 2/3 შეიკრიბება.”

43. ფაქტების დადგომის დროს მოქმედი ადმინისტრაციული კოდექსი

მუხლი 60 § 1 (ვ)

“იურიდიული ძალის არ მქონე იურიდიულ-ადმინისტრაციული აქტი”

“იურიდიულ-ადმინისტრაციულ აქტი მიღების შემდეგ ანულირებული იქნება, თუ მისი განხორციელება შეუძლებელია ფაქტუალური მიზეზების გამო.”

44. საარჩევნო კოდექსი (“სკ”), 2003 წ. 28 აგვისტოს შესწორებული და აღნიშნულ დროს მოქმედი.

მუხლი 9 “საარჩევნო სია და მისი შედგენის პროცედურა”

“1. საარჩევნო სია ეს არის ადამიანთა სია, რომელთაც გააჩნიათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან კანონის შესაბამისად...”

5. ამომრჩეველთა სია უნდა შედგეს... საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული სააგენტოებში არსებული მონაცემთა საფუძველზე... იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სააგენტოებში არსებულ მონაცემთა საფუძველზე.. იმ მონაცემთა საფუძველზე, რომლებიც არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის და/ან ადმინისტრაციულ სამსახურებში.. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და მის ტერიტორიულ სამსახურების მიერ დეწინების შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე.. თავდაცვის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და უშიშროების საბჭოში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით.. და იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მოპოვებულია საქართველოს საკონსულოების მიერ..

7. რეგისტრირებული პარტია.. და ამომრჩეველები უფლებამოსილი იქნებიან გადაამოწონ მთლიანი საარჩევნო სიის საჯარო ვერსია ცენტრალურ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში (ამომრჩეველს უფლება აქვს შეამოწმოს მონაცემები მხოლოდ მის და მისი ოჯახის წევრების შესახებ) და ნებისმიერ სახის უზუსტობის შემთხვევაში, მიმართოს - არჩევნებამდე არაუგვიანეს 23 დღისა - რათა შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები ამომრჩეველთა მონაცემებში და საარჩევნო სიაში..

8. საარჩევნო ადმინისტრაცია, თავისი ინიციატივით ან ამ მუხლის მე-7 პარაგრაფის მიხედვით, განიხილავს საერთო საარჩევნო სიებს.. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ამომრჩეველთა მონაცემებში და საარჩევნო სიაში ცვლილებების უარყოფის შესახებ (პეტიცია) დასაბუთდება და თუ მოითხოვენ, გადაეცემა მიღების დღიდანვე მის მომხივანს.

12. (ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილება) შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო/საქალაქო სასამართლოში მიღებიდან 2 დღის განმავლობაში. სადაც სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განმცხადებლის სასარგებლოდ, გადაწყვეტილება გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას 3 დღის ვადაში, არაუგვიანეს მე-13 დღისა არჩევნებამდე, შემდეგ კომისია შესაბამის ინფორმაციას გადაუგზავნის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.. საარჩევნო კომისიები დაუყოვნებლივ შეიტანენ შესაბამის ცვლილებებს საარჩევნო სიებში..

„არჩევნების თარიღამდე ბოლო 10 დღის განმავლობაში აკრძალულია საარჩევნო სიაში ცვლილებების შეტანა; 19-10 დღით ადრე არჩევნებამდე ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მე-9 მუხლის ზოგიერთი დებულებების გამოყენება, რის მიხედვითაც რეგულირდებოდა ვადები საარჩევნო სიების შედგენისა და გადასინჯვის თაობაზე, მათ შორის მე-12 პარაგრაფი შეჩერებულ იქნა 2003 წ. 26 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. საბოლოო ჯამში, მე-12 პარაგრაფი გაუქმდა 2005 წ. 24 იანვარს იგივე სასამართლოს მიერ (45-ე პარაგრაფი ქვემოთ).

მუხლი 10 – ” ამომრჩეველთა სპეციალური სია”

მე-10 მუხლის 1 პარაგრაფის მიხედვით, ამომრჩეველთა სპეციალური სია მოიცავს: (ა) საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები, რომლებიც არჩევნების დღეს მუშაობდნენ საარჩევნო უბნებზე და არა თავიანთ საცხოვრებელ მისამართებზე; (ბ) ამომრჩეველები, რომლების არჩევნების დღეს მკურნალობდნენ საავადმყოფოში ან სხვა სამკურნალო დაწესებულებაში; (გ) ამომრჩეველები, რომლებიც არჩევნების დღეს იმყოფებოდნენ საპატიმროში ან წინასწარი დაკავების საკნებში; (დ) ამომრჩეველები, რომლებიც იყვნენ ზღვაში არჩევნების დღეს (ისინი რეგისტრირებულნი არიან შესაბამის საზღვაო პორტში); და (ე) ამომრჩეველები, რომლებიც არჩევნების დღეს იყვნენ საზღვარგარეთ და რეგისტრირებულები იყვნენ საქართველოს საკონსულოში, ისევე როგორც ამომრჩეველები, რომლებიც არ იყვნენ რეგისტრირებულნი საკონსულოში, მაგრამ რეგისტრაცია გაიარეს საუბნო საარჩევნო კომისიაში, რომელიც გახსნილი იყო საზღვარგარეთ ან საკონსულოში.

მე-10 მუხლის 2, 3, 4, 5, 6 და 7 პარაგრაფების მიხედვით, შესაბამისი სტრუქტურის თავმჯდომარემ, მე-10 მუხლის მე-10 პარაგრაფის მიხედვით ამომრჩეველზე პასუხისმგებელმა პირმა, უნდა შეადგინოს სპეციალური სია, ის პასუხისმგებელი იქნება მასში შესულ მონაცემთა სიზუსტეზე, რომელიც თავის ხელმოწერით უნდა დაადასტუროს და გადაეგზავნება შესაბამის საარჩევნო კომისიას.

მუხლი 17 – “ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემა და სტატუსი”

“1. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც შექმნილია ამ კანონმდებლობის შესაბამისად და უფლებამოსილებით ისარგებლებს მასში განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში...”

3. საარჩევნო ადმინისტრაცია დამოუკიდებელია სახელმწიფო ინსტიტუტებისგან, თავისი კომპეტენციის საზღვრებში..

4. საარჩევნო ადმინისტრაცია ეს არის ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან “ცესკო” შემდგარი ცენტრალიზებული სისტემა..., საოლქო საარჩევნო კომისიები და საუბნო საარჩევნო კომისიები..., ცესკო არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში ზემოდგომი ორგანო..

6. ცესკო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე..”

მუხლი 18 § 3 - “საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა”

“საარჩევნო ადმინისტრაციის წევრს შეუძლია არ იყოს რომელიმე პარტიის წევრი, თუ ის არის რომელიმე პარტიის წევრი, მან უნდა დატოვოს პარტია საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის გამო...”

მუხლი 22 – “საარჩევნო კომისიების მუშაობის წესები”

“...7. საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ ის მხარდაჭერილია ხმათა უმრავლესობის მიერ (წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის მიხედვით აუცილებელია მაღალი ქვორუმი), კომისიის წევრების არანაკლებ ერთი მესამედი.

8. თუ ხმები გაყოფილია, სხდომის თავმჯდომარეს გააჩნია გადამწყვეტი ხმა..

13. ცესკო იღებს ბრძანებულებას კომისიის წევრთა ორი მესამედი. არჩევნების დღემდე არანაკლებ 4 დღით ადრე ცესკო არანაირ ბრძანებულებას აღარ იღებს. “

34-ე მუხლების § 2 (ფ), 61 § 5, 62 და 3 §§ 1 და 4 შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისია კომპეტენტურია მიიღოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოთხოვნა შესაბამის საარჩევნო უბნებში ხმათა ხელმეორედ გადათვლის ან გაბათილების შესახებ, მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს საარჩევნო დარღვევების შესახებ არსებულ საჩივრებს.

მუხლი 64 – საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩევნების შედეგების კონსოლიდაცია”

“1. ხმის მიცემის დღიდან არაუგვიანეს 18 დღისა, ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული პროტოკოლების საფუძველზე, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს აჯამებს... და იღებს ხმის დათვლის საბოლოო დამატებითი ოქმის შესახებ ბრძანებულებას.

1(1). ცესკოს ეკრძალება საბოლოო საარჩევნო შედეგების გამოცხადება, სანამ არ გადაწყდება არჩევნებთან დაკავშირებული დავები სასამართლოებში და არ განიხილება ამ დავებთან დაკავშირებული ხარჯები..

ცესკო მოახდენს საარჩევნო შედეგების კონსოლიდაციას და გადაწყვეტს: ა) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას; ბ) ამომრჩეველთა აქტივობას; გ) გაბათილებული ბიულეტენების რაოდენობას; დ) კანდიდატთა მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობას.”

მუხლი 77 § 3 “ვადები და პროცედურები საჩივრების განხილვისათვის” “სასამართლოში საჩივრის წარდგენას არ ექნება სუსპენციური გავლენა გადაწყვეტილებაზე.”

მე-100 მუხლის § 2 –ის მიხედვით, პარტიას ან ბლოკს შეუძლია გააუქმოს თავისი კანდიდატის წარდგენა, მას შემდეგაც კი, როცა ამ უკანასკნელის უფლებამოსილება, როგორც პარლამენტის წევრის ოფიციალურად იქნება აღიარებული.

მუხლი 105 – “საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩევნების შედეგების კონსოლიდაცია”

“... 3. პროპორციული სისტემით შემდგარი არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სულ მცირე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მესამედმა..

6. ადგილები პარლამენტში გადანაწილება იმ პარტიის სიის კანდიდატებისათვის, რომელმაც გადალახა 7%-იანი ბარიერი.

7. იმისათვის, რომ დადგინდეს ადგილების რაოდენობა პარლამენტში პარტიული სიით, პარტიის მიერ მიღებული ხმათა რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა პარტიების მიერ მიღებულ ხმების საერთო რაოდენობაზე (პარტიებმა, რომლებმაც გადალახეს 7%-იანი ბარიერი)..

12. თუ რაიმე სახის მნიშვნელოვანი დარღვევების გამო, არჩევნების შედეგები გაუქმებული იქნება საარჩევნო უბნების ნახევარზე მეტში ან.. უბნებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა წარმოადგენს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს სადაც საარჩევნო უბანზე, არჩევნების შედეგები მთელს საარჩევნო უბანზე გაუქმებულად ჩაითვლება და ცესკო დანიშნავს განმეორებითი არჩევნების თარიღს.

13. თუ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ წარდგენილ იქნა ნებისმიერ სახის განცხადება, საჩივარი ან განსაკუთრებული მოსაზრება, რომელიც საჭიროებს განხილვას ან არჩევნების შედეგების განხილვას, ცესკო გადაწყვეტილებას მიიღებს შესაბამის ბრძანებულების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ან გაიხსნება და ან არა საარჩევნო ბიულეტენები და მოხდება ან არა საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული საარჩევნო ბიულეტენების (სპეციალური კონვერტები) ხელმეორედ გადათვლა. ცესკო უფლებამოსილია საუბნო საარჩევნო კომისიების პროტოკოლების საფუძველზე შეკრიბოს არჩევნების შედეგები..

16. პროპორციული სისტემის არჩევნებში ხმის მიცემის პროცედურა ტარდება მეორედ, როცა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა უბანზე (სადაც გაუქმდა არჩევნების შედეგები) საქართველოს ამომრჩეველთა მთელი რაოდენობის 10%-ზე მეტია. ასეთ შემთხვევაში, ასეთი არჩევნების პროცედურა უნდა ჩატარდეს საერთო არჩევნების თარიღიდან 2 კვირის ვადაში.

17. თუ პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდება, მაგრამ არცერთი პარტია ან საარჩევნო ბლოკი ვერ მოახერხებს არსებული ბარიერის გადალახვას, განმეორებითი არჩევნები ჩატარდება საერთო არჩევნების თარიღიდან 2 კვირის ვადაში, ცესკოს შესაბამის ბრძანებულების საფუძველზე.

18. მხოლოდ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს რომლებმაც, მოაგროვეს ხმათა 2% არჩევნებში, ექნებათ უფლება მიიღონ მონაწილეობა განმეორებით არჩევნებში. პარტიის სია უცვლელი რჩება.. მასში ნებისმიერი შესწორებების შეტანა შესაძლებელია კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

19. საბოლოო საარჩევნო შედეგების შემაჯამებელი დამატებითი ოქმი უნდა მოიცავდეს იმ საარჩევნო ოლქების და უბნების რაოდენობას და სახელწოდებებს, სადაც არჩევნები გაუქმებულად გამოცხადდა, აგრეთვე მათში ხმების რაოდენას, მიზეზებს, რის გამო გაუქმდა არჩევნები, სრულ რაოდენობას თითოეულ საარჩევნო ოლქში, ამომრჩეველთა აქტივობას, და არჩეული პარლამენტარების რაოდენობას, სახელებითა და გვარებით ანბანური წესით.“

მუხლი 106-ე §§ 3, 4, და 7 “...შუალედური და სხვა არჩევნები.. პარლამენტის წევრების სამართალმემკვიდრეობის პროცედურა”

“...3. თუ არჩევნები გამოცხადდა “არ ჩატარებულად” , ან თუ არჩევნების შედეგები გაუქმდა მრავალ-ადგილიან საარჩევნო ოლქში, ჩატარდება განმეორებითი არჩევნები. თუ ასეთ ოლქში არჩეული საპარლამენტო მანდატი შეჩერდება დროზე ადრე, ჩატარდება შუალედური არჩევნები.

4. განმეორებითი არჩევნები ტარდება 2 თვის ვადაში.. ცესკო დაადგენს არჩევნების თარიღს და ვადებს სხვადასხვა საარჩევნო პროცედურებისათვის, შესაბამისი ბრძანებულებით საწყისი არჩევნებიდან არაუგვიანეს 7 დღეში....

7. თუ პარლამენტის წევრი, რომელიც გადადგა, არჩეულ იქნა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიული სიით, ასეთი პარლამენტარის ადგილი დაკავდება სიაში

შემდეგი კანდიდატის მიერ 1 თვის ვადაში, მას შემდეგ რაც გაირკვევა, რომ კანდიდატი თანახმაა პარლამენტის წევრობაზე, 15 დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს პარლამენტში დაიკავენ სიაში მყოფი შემდეგი კანდიდატი, ა.შ. თუ პარტიის სიაში არ არის წარმოდგენილი სხვა კანდიდატი, საპარლამენტო მანდატი გაუქმებულად ჩაითვლება.

მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, რომლის დროსაც არც 106-ე მუხლი და არც საარჩევნო კოდექსის რომელიმე დებულება არ უზრუნველყოფს შუალედური, განმეორებითი ან სხვა ტიპის არჩევნების ჩატარების უფლებას, ისე როგორც მოხდა პროპორციული სისტემის არჩევნების შემთხვევაში, როცა ცესკოს მიერ საბოლოო მთელი ქვეყნის მასშტაბით არჩევნების შედეგები ფაქტობრივად გამოქვეყნდა.

საარჩევნო კოდექსში შესწორების შეტანა, 128, 128 (1) და 128 (2) მუხლები, განხორციელდა 2003 წ. 5 აგვისტოს, იმ მიზნით, რომ მომხდარიყო ცესკოს რეფორმირება 2003 წ. საპარლამენტო არჩევნებისათვის.

128 –ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ცესკო უნდა შედგებოდეს 15 წევრიდან და მისი სხდომები კანონიერად ითვლება, როცა მას ესწრებიან კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. თავდაპირველად 128–3 მუხლის § 3–ის მიხედვით, ცესკოს თავმჯდომარეს ნიშნავდა პარლამენტი, მას შემდეგ რაც მის კანდიდატურას წარადგენდა ერთი შნ). თუმცა ეს დებულება შეცვლილ იქნას 2003 წ. 28 ნოემბერს და ახალი წესის შესაბამისად თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის დამტკიცებით. 128–ე მუხლის § 4–ით შემდგომში განისაზღვრა, რომ ცესკოს 5 წევრს აგრეთვე ნიშნავს პრეზიდენტი.

128–ე მუხლის § 5–ის, ცესკოს დარჩენილ 9 წევრი ინიშნება შემდეგნაირად:

ა. სამი წევრი პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ, რომელიც 1999 წ. საპარლამენტო არჩევნებში მე-2 ადგილზე იყო;

ბ. ორი წევრი პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ, რომელიც 1999 წ. საპარლამენტო არჩევნებში მე-3 ადგილზე იყო; და

გ. თითო-თითო წევრი იმ ოთხი პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ, რომელთაც საუკეთესო შედეგები ჰქონდათ 2002 წ. თბილისის ადგილობრივ არჩევნებში, რომელიც პროპორციული სისტემით ჩატარდა, თუკი პარტია/საარჩევნო ბლოკი უფლებამოსილი არ არის დანიშნოს კომისიის წევრი აღნიშნული ქვე-პარაგრაფების მიხედვით (ა) და (ბ);

მუხლების 128 (1) § 2 და 128 (2) § 2 მიხედვით, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა უფრო მარტივია ცესკოს შემადგენლობასთან შედარებით. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის დამტკიცებით (მუხლი 128(1) § 3), მაშინ როცა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ინიშნება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ (მუხლი 128(2) § 3). საოლქო საარჩევნო კომისიების 5 წევრს ნიშნავს ცესკოს ერთ-ერთი წევრი, რომელიც დანიშნულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ და მინიჭებული აქვს მას ეს უფლებამოსილება (მუხლი 128(1) § 4). საუბნო საარჩევნო კომისიების 5 წევრი დანიშნულია შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის 5 წევრიდან ერთ-ერთის მიერ, რომელიც დანიშნულია 128–2 მუხლის (1) § 4 შესაბამისად.

2005 წ. 22 აპრილის შესწორებებით, 128, 128(1) და 128(2) მუხლების შესაბამისი ზემოხსენებული წესები გაუქმდა.

45. 2005 წ. 24 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

ორი ამომრჩევლის განცხადების საფუძველზე, 2003 წ. 26 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა საარჩევნო კოდექსის მუხლი 9 §§ 7, 8, 10 და 12 და მუხლი 10 §§ 1 (ე) და 6, იმ ნაწილში, რომლითაც რეგულირდება ვადები საარჩევნო სიებში მონაცემთა შესწორებისა და დამატებისათვის. 2005 წ. 24 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა საარჩევნო კოდექსის 9§12 მუხლი, ძალაში დატოვა სხვა სადავო დებულებების კონსტიტუციურობა. სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისი ნაწილის მიხედვით:

“...ამომრჩეველთა რეგისტრაცია ერთიან საარჩევნო სიებში უზრუნველყოფს, მოქალაქეებმა ისარგებლონ ხმის მიცემის უფლებით. შესაბამისად, სადავო დებულების მიხედვით,

ხმის უფლება წაერთვა იმ ადამიანებს, რომლებმაც საკუთარი თავები ვერ აღმოაჩინეს სიებში და ვერ შეძლეს რეგისტრაციის გავლა არჩევნებამდე 10 დღის განმავლობაში, რისთვისაც აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება, რათა რეგისტრაცია გაიაროს ამომრჩეველმა მე-19 – 10 დღეს არჩევნებამდე...

ამომრჩეველთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებლობა აკისრია შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლებას. როცა მოქალაქე ვერ პოულობს საკუთარ თავს სიაში, ეს არის უმოქმედობის შედეგი (სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან) და მოქალაქე არ უნდა შეიზღუდოს ხმის მიცემის უფლებაში. საარჩევნო კოდექსმა უნდა უზრუნველყოს არა მარტო ფორმალური, არამედ რეალური მექანიზმები, რომელიც შესაძლებელს გახდის მოქალაქეებმა ისარგებლონ კონსტიტუციური უფლებით. ”

III. შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (“PACE”) 1363-ე რეზოლუცია (28 იანვარი, 2004)– “საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება”

46. ქვემოთ მოცემულია რეზოლუციის მნიშვნელოვანი დებულებები:

“... 7. ასამბლეა საქართველოს ხელისუფლებას სთხოვს დაუყოვნებლივ მიიღოს მთელი რიგი ზომები, რომლებიც სრულად უნდა იქნას განხორციელებული მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის, რომელიც შედგება 2004 წ. 28 მარტს, კერძოდ კი:

ი. შესწორებების შეტანა საარჩევნო კოდექსში და სხვა საარჩევნო კანონმდებლობაში და ნორმებში, რათა მოხდეს:

ა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შეცვლა, ისევე როგორც საარჩევნო კომისიების, უფრო დაბალ დონეზე, რათა მოხდეს პოლიტიკური ძალების მხრიდან დაბალანსებული, სამართლიანი და თანასწორუფლებიანი წარმომადგენლობის პრინციპის ხელშეწყობა;..

ბ. მკაფიო სეგრეგაცია სამთავრობო სტრუქტურებსა და საარჩევნო ხელისუფლებას შორის და დამკვიდრდეს პრინციპი, რომ ეს უკანასკნელი უნდა იყოს სრულად მიუკერძოებელი;..

იი. საარჩევნო სიების გადახედვა და უმოკლეს ვადებში ერთიანი, ცენტრალიზებული და კომპიუტერიზებული რეგისტრაცია ამომრჩევლების, რათა დასრულდეს არჩევნების დღეს დამატებით სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციის პრაქტიკა, რომელიც გაყალბების მნიშვნელოვან რისკს შეიცავს..

8. ასამბლეა ასევე აცხადებს თავის შემოფოთებას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების გამო, რადგან არსებობს რისკი, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საერთოდ გაქრეს საპარლამენტო ოპოზიცია და საბოლოო ჯამში ნებისმიერ ჭეშმარიტი ინსტიტუციონალური ოპოზიციური ძალა ქვეყანაში. თუ არჩევნები დასრულდება პარლამენტში მმართველი კოალიციის ერთადერთი წარმომადგენლობით, ასეთ შემთხვევაში ანსამბლეა შიშს გამოთქვამს საქართველოში დემოკრატიული პრულარიზმის მომავლთან დაკავშირებით. ამიტომაც, ის რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს კანონმდებლობაში, რათა შემცირდეს საარჩევნო ბარიერი პროპორციული სისტემის არჩევნების შემთხვევაში 7%-დან 5% -მდე.

ბ. დემოკრატიის განვითარებაზე მომუშავე ევროპული კომისია (“ვენეციის კომისია”)

47. 51-ე პლენარულ სხდომაზე ვენეციის კომისიამ მიიღო საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით საპროცესო ნორმების კოდექსი, რომელიც 2002 წ. 6 ნოემბერს წარედგინა ევროსაბჭოს საპარლამენტო ანსამბლეს. მისი მნიშვნელოვანი დებულებები შემდეგში მდგომარეობს: :

2. “მარეგულირებელი დონეები და საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობა”

ა. ტექნიკურ საკითხებზე და დეტალებზე არსებული წესების გარდა – რომელიც შესაძლოა შედიოდეს აღმასრულებელ ინსტრუქციებში–, საარჩევნო კანონის წესებს უნდა გააჩნდეს სულ მცირე კანონის კატეგორია.

ბ. არჩევნებამდე 1 წელზე ნაკლები პერიოდით ადრე საარჩევნო ცვლილებები არ უნდა შედიოდეს საარჩევნო კანონის ისეთ ფუნდამენტალური ელემენტებში, როგორცაა სათანადო საარჩევნო სისტემა, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება და საარჩევნო უბნების საზღვრების დადგენა, ან უნდა იქნას ჩაწერილი კონსტიტუციაში ან ჩვეულებრივ კანონმდებლობაზე მაღლა მდგომ დონეზე.”

3.1. “არჩევნების ორგანიზება მიუკერძოებელი ორგანოს მიერ”

ა. მიუკერძოებელი ორგანო უნდა იყოს პასუხისმგებელი საარჩევნო კანონმდებლობაზე.

ბ. იქ, სადაც არ არის ხანგრძლივი ტრადიცია ადმინისტრაციული ხელისუფლების პოლიტიკური ძალებისგან დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი საარჩევნო კომისია უნდა შეიქმნას ყველა დონეზე, სახელმწიფო დონიდან დაწყებული საარჩევნო უბნით დამთავრებული.

ც. ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა იყოს მუდმივი.

დ. ის უნდა შედგებოდეს:

ი. სულ მცირე ერთი წევრი სასამართლო ხელისუფლებიდან;

იი. პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების წარმომადგენლები ან დაგროვილი უნდა ჰქონდეს არჩევნებში განსაზღვრული პროცენტული მანკენბელი; ეს ადამიანები კვალიფიცირებულნი უნდა იყვნენ საარჩევნო საკითხებში.

მასში შესაძლოა შედიოდეს:

იიი. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი;

ივ. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები.

ე. საარჩევნო კომისიებში თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი პოლიტიკური პარტიები ან უნდა შეეძლოს მიუკერძოებელი ორგანოს მუშაობაზე მონიტორინგი. თანაწარმოება შესაძლოა ახსნიდ იქნას ზუსტად და ზედმიწევნით პროპორციულ საფუძველზე.

ფ. ორგანოებს, რომლებიც ნიშნავენ საარჩევნო კომისიების წევრებს არ უნდა შეეძლოს თავისუფლად მათი დათხოვნა, თავიანთი სურვილისამებრ.

გ. საარჩევნო კომისიების წევრებმა უნდა გაიარონ სტანდარტული ტრენინგები.

ჰ. სასურველია, რომ საარჩევნო კომისიებმა გადაწყვეტილებები მიიღონ კვალიფიციური უმრავლესობით ან კონსენსუსის საფუძველზე.”

48. ევროპაში საარჩევნო კანონზე და საარჩევნო ადმინისტრაციაზე 2006 წ. 9–10 ივნისის ვენეციის კომისიის ანგარიშიდან ერთ–ერთი ამონარიდი მდგომარეობს შემდეგში:

“34. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებაზე ზოგადად მნიშვნელოვნად შემცირდა, ზოგიერთ სახელმწიფოებში კომისიის წევრთა უმრავლესობას ნიშნავს აღმასრულებელი ხელისუფლება, მაგალითად პრეზიდენტი, შინაგან საქმეთა ან იუსტიციის მინისტრი. მაგალითად, საქართველოში 15–დან 5 წევრს ცენტრალური საარჩევნო კომისიაში ნიშნავს პრეზიდენტი, ამაში არ შედის ის წევრები, რომელთაც ნიშნავს პარლამენტში მყოფი მმართველი პარტიები. იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული სამთავრობო ჩარევა კომისიის მუშაობაში, როგორც წესი კომისიის წევრების რაოდენობა წარდგენილი და დანიშნული აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უნდა იყოს ძალიან დაბალი.”

ჩ. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის (შხ / I დ) საარჩევნო

სადაამკვირვებლო მისიის 2003 წ. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ანგარიში (ნაწილი 1, ვარშავა, 28 იანვარი 2004)

49. ანგარიშში მოცემულია მნიშვნელოვანი ექსპერტების მოსაზრებები:

“ოქტომბრის დასაწყისში გამოქვეყნებულ ამომრჩეველთა წინასწარ სიებში ფიქსირდებოდა მნიშვნელოვანი უზუსტობები და შეცდომები. ამომრჩეველთა რაოდენობა, რეგისტრირებულნი მთელ რიგ ცალკეულ ოლქებში, აჩვენებდა მნიშვნელოვან გადახრას წინა არჩევნებთან შედარებით...”

არაზუსტი სიები პრობლემას წარმოადგენდა არა მხოლოდ შეცდომების გამო, არამედ აღნიშნული უზუსტობები ხმის უფლების მქონე მოქალაქეს არ აძლევდა უფლებას მონაწილეობა მიეღო არჩევნებში და ზრდიდა არჩევნების გაცვალების ალბათობას.

ამომრჩეველთა სიებში დარღვევების შესახებ ანგარიშები მოიცავდა შემდეგნაირ უზუსტობებს: გამოტოვილი იყო მთლიანი კორპუსი ან ქუჩა, ამომრჩევლები არასწორ უბნებზე იყვნენ რეგისტრირებულნი სიებში, არსებობს დიდი რაოდენობით დუბლირებული მონაცემები. მიუხედავად უზარმაზარი საქმისა, ძალიან ბევრი საუბნო საარჩევნო კომისია მუდმივად მუშაობდა იმაზე, რომ გამოესწორებინა ეს შეცდომები. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ მიაწოდა საუბნო კომისიებს ამომრჩეველთა სიები და მთელი რიგი საუბნო კომისიები აღმოჩნდა, რომ ვერ ერკვეოდნენ ახალ რეგისტრაციის პროცედურებში და იყენებდნენ დაუსაბუთებელ მეთოდებს. ბევრმა ვერ შეძლო სიების სისტემური ან პრაქტიკული ფორმით გამოქვეყნება...”

სხვა პრობლემები: არსებობდა 2,250-გვერდიანი სია ავადმყოფი ადამიანებისა თბილისში, რომელიც გამოუყენებელი იყო, რადგან ის არ იყო დაყოფილი უბნების ან ოლქების მიხედვით; დევნილი ამომრჩევლები სიტემატიურად არ იყვნენ სიებში; მნიშვნელოვანი რაოდენობის ამომრჩევლებს არ ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები...

მოულოდნელად 26 ოქტომბერს ცესკომ გადაწყვიტა შეეჩერებინა მუშაობა ცენტრალურ მონაცემთა ბაზაზე, შესაბამისად შეწყდა მცდელობაც გაეუმჯობესებინათ ამომრჩეველთა სიების სიზუსტე და გამჭვირვალობა. საუბნო საარჩევნო კომისიებს უფლება მისცეს გამოეყენებინათ ხელნაწერი სიები და ან კომპიუტერიზებული. ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად ცვლიდა ამომრჩეველთა რეგისტრაციის ჩარჩოებს და გამოიწვია გამოყენებულ სიებში არაერთგვაროვნობა.”

OSCE/ODIHR საარჩევნო სადაამკვირვებლო მისიის ანგარიში 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით (ნაწილი 2, ვარშავა, 2004 წ. 23 ივნისი)

50. ეს ანგარიში წარმოდგენილ იქნა მოპასუხე მთავრობის მიერ, როგორც მათი მტკიცებულებების ნაწილი. ანგარიშიდან ამონარიდები მდგომარეობს შემდეგში:

“აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ იქ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეუძლებელი იყო. ოპოზიციის მხარდამჭერთა და ჟურნალისტთა დაშინება და ფიზიკური შეურაცხყოფა მიუთითებდა დემოკრატიის დეფიციტზე აჭარაში, რაც ნათელი გახდა არჩევნების პერიოდში, და რაც ეფექტურად ქმნიდა ორმაგ სტანდარტებს არჩევნებისათვის საქართველოში.

ცესკომ ორგანიზება გაუკეთა ამ არჩევნებს პროფესიულ და სანდო დონეზე. თუმცა, ცესკომ რამდენჯერმაც გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, მაგალითად, როცა გააგრძელა ვადები ან შეცვალა იურიდიული დებულებები მიღებული ბრძანებულებების საფუძველზე. არჩევნების პროცესის ზოგიერთი ასპექტი გაუმჯობესდა წინა არჩევნებთან შედარებით, თუმცა

არჩევნების შემდგომ პერიოდში მიღებული ცესკოს ზოგიერთი გადაწყვეტილება გარკვეულ ეჭვს ბადებს მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

ამომრჩეველთა სიები შემდგომში გაუმჯობესდა და მოხდა მათი თავმოყრა ერთიან კომპიუტერიზებულ მონაცემთა ბაზაში. მიუხედავად ამისა, საჭირო იყო შემდგომი მცდელობები, რათა მომხდარიყო ამომრჩეველთა სიების დახვეწა, დარჩენილი შეცდომების გამოსწორება და უზუსტობების შესწორება.

საარჩევნო კომისიებში პოლიტიკური ბალანსის არ არსებობა კვლავაც რჩებოდა პრობლემად. ზოგიერთმა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიამ ვერ მოახერხა შესაბამისი დისტანციის შენარჩუნება მმართველი პარტიებისგან და ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ერეოდა შედარებით დაბალი ინსტანციის საარჩევნო კომისიების მუშაობაში. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა წინადადებით, შემცირებულიყო მის მიერ დანიშნულ წევრთა რაოდენობა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში, 5-დან 3 წევრამდე, თუმცა ეს ცვლილებები დაგვიანებით განხორციელდა საარჩევნო პროცესში...

რეგიონალურ დონეზე შედეგების დათვლა მთელ რიგ საუბნო საარჩევნო კომისიებში გამოირჩეოდა დარღვევებით. ზოგიერთ შემთხვევაში, საარჩევნო მასალა იგზავნებოდა დაულუქავ მდგომარეობაში ან არაადეკვატურად დაცული, პროტოკოლების შედგენა ან შეცვლა ხდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე, იყო შემთხვევებიც, როცა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები მოლაპარაკებებს მართავდნენ შედეგებთან დაკავშირებით. არაადეკვატურად ხდებოდა აგრეთვე ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრებზე რეაგირება.

ცესკოს მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ანალიზმა შესაძლებელი გახდა გამოაშკარავებულიყო მთელი რიგი დარღვევები ან ანომალური შედეგები არაერთ ოლქზე, ასეთი დარღვევები იყო: ამომრჩეველთა აქტივობის სწრაფი ზრდა ბოლო სამი საათის განმავლობაში; ამომრჩეველთა დაუჯერებელი აქტივობა; ზოგ შემთხვევაში 100%-ს აჭარბებდა; და ზოგჯერ მმართველი პარტიებისათვის მიცემული ხმები 95%-იანი გადაჭარბებით ფიქსირდებოდა; ინსტანციები, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებით მაღალი მანევრების გაუქმებული ბულეტინებით.

საოლქო საარჩევნო კომისიამ დარღვევების გამო სულ 52 საარჩევნო უბნის შედეგები გააუქმა. ცესკომ გააუქმა არჩევნების შედეგები აჭარის ორ ოლქში (ხულო და ქობულეთი) და დანიშნა განმეორებითი არჩევნები 18 აპრილს, რომელიც უსაფრთოხების ზომების არ არსებობის გამო არ ჩატარებულა. ცესკოს გადაწყვეტილება გაუქმებინა შედეგები და განმეორებითი არჩევნები დაენიშნა მთლიან ოლქებში დაფუძნებულია სადაო კანონიერ არგუმენტებზე.

მთლიანობაში, არჩევნების პროცესში შემდეგი ელემენტები გამოირჩეოდა დადებითი პროგრესით:

- არჩევნების პროცესის ადმინისტრირების გაუმჯობესება;
 - ცესკოს გაზრდილი პროფესიონალიზმი და გამჭვირვალობა;
 - დადებითი მცდელობები, იმისათვის, რომ გაუმჯობესებულიყო საარჩევნო სიები, მომხდარიყო მისი კომპიუტერიზაცია და ერთად თავმოყრა, თუმცა საარჩევნო სია არასრულყოფილი რჩება კვლავ;
 - აჭარის გარდა, მშვიდობიანი და თავისუფალი წინასაარჩევნო პერიოდი, თუმცა იყო დაგვიანებული და ძალიან შეზღუდული კამპანია;
 - მედიის თავისუფლება, აჭარა გამონაკლისია ამ შემთხვევაში;
- მიუხედავად ამისა ამ პროცესის ზოგიერთი ასპექტი საჭიროებს გაუმჯობესებას, იმისათვის რომ აღმოიფხვრას დარჩენილი პრობლემები და გაგრძელდეს პროგრესი მათ შორის:
- გრძელდება სახელმწიფო ადმინისტრაციისა და პოლიტიკური პარტიის სტრუქტურების მკაფიო განცალკევების დეფიციტი და მიმდინარე პოტენციური სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივი გამოყენება;
 - საარჩევნო კომისიებში დაუბალანსებელი შემადგენლობა ყველა დონეზე;
 - ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევა მთელ რიგ დაბალი ინსტანციის საარჩევნო კომისიების ფუნქციონირებაში, რაც მათი დამოუკიდებლობის ხარისხს ამცირებს;
 - ზოგიერთ საარჩევნო უბანზე არსებული დარღვევების გაგრძელება, რაზედაც მიუთითებს დაუჯერებელი და გასაკვირი შედეგები;

- დარღვევები მთელ რიგ საოლქო საარჩევნო კომისიებში ხმების დათვლის პროცესში და ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ მოახერხა არჩევნების შემდგომ არსებულ საჩივრებზე შესაბამისად რეაგირება;
- ცესკოს მიერ მიღებული რამოდენიმე გადაწყვეტილება, როგორცაა 2 მთლიან ოლქში შედეგების გაუქმება, რომელიც კანონიერების შესახებ ეჭვს ბადებს და შეიძლება ჩაითვალოს, როგორც პოლიტიკურად მოტივირებული ქმედება...”

51. ამომრჩეველთა რეგისტრაციის ახალ სისტემასთან დაკავშირებით, ანგარიშში აღნიშულია შემდეგი:

“ცესკომ განახორციელა OSCE/ODIHR მიერ წინა არჩევნების დროს გაცემული არაერთი რეკომენდაცია, მათ შორის..

ამომრჩეველთა სიის თავმოყრა ცენტრალურ, კომპიუტერიზებულ მონაცემთა ბაზაში; მოქალაქეებისათვის რეგისტრაციისთვის მიცემული დამატებითი დროის პერიოდი და პერიოდულად ახლად დაბეჭდილი ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნება..

რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა ხმის უფლების მქონე ამომრჩეველთა რაოდენობაზე ნაკლები, ეს ნაწილობრივ იმის გამო რომ ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემის ორგანიზაცია მოხდა დეკემბერში და შემდეგ ხელმეორედ მარტში. არსებული სისტემის მიხედვით, მოქალაქეებს რომლებსაც არ სურდათ ან ვერ შეძლეს რეგისტრაცია გამორიცხულნი არიან სიებიდან..

ცესკომ დაიწყო ხელნაწერი სიების თავმოყრა ერთიან კომპიუტერიზებულ მონაცემთა ბაზაში. ამ მონაცემთა სიზუსტე დადასტურებულია და არაერთი შეცდომა იქნა აღმოფხვრილი...

ცესკომ ამომრჩეველთა სიები გამოაქვეყნა სხვადასხვა ენაზე, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ამ პროცესის გამჭვირვალობა არაქართულად მოლაპარაკე ამომრჩეველებში.. მაშინ, როცა დამკვერველები გამოხატავენ გაზრდილ ნდობას ამომრჩეველთა სიებთან მიმართებაში, განსაკუთრებით კი 2003 წ. ნოემბერთან შედარებით, მაინც აღინიშნა გარკვეული პრობლემები..

არჩევნების შემდეგ, ცესკომ გამოაცხადა, რომ 145 000 ამომრჩეველი რომელმაც რეგისტრაცია გაიარა იმისათვის რომ ხმა მიეცა არჩევნების დღეს, საბოლოო ჯამში გადაიზარდა 2 343 087 რეგისტრირებულ ამომრჩეველად.”

52. ანგარიშში აღნიშნულია დაძაბულობის შესახებ, რომელიც არსებობდა ცენტრალურ და აჭარის ხელისუფლებას შორის 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების წინ:

“სიტუაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაძაბული რჩებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 23 ნოემბერს საგანგებო სიტუაცია გამოცხადდა ქვეყანაში. საგანგებო მდგომარეობამ შეამცირა სამოქალაქო თავისუფლება, და შესაბამისად შეზღუდა შემდგომში კამპანიის ჩატარების შესაძლებლობები იმ პარტიებისათვის, რომლებიც იყვნენ ოპოზიციაში აჭარის ლიდერთან ასლან აბაშიძესთან. ურთიერთობები საქართველოს მთავრობასა და აჭარის ხელისუფლებას შორის კიდევ უფრო დაიძაბა ნოემბრის მოვლენების შემდეგ, 14 მარტს, პრეზიდენტ სააკაშვილს უარი უთხრეს აჭარაში შესვლაზე, სადაც მას განზრახული ჰქონდა საარჩევნო კამპანიის ჩატარება. ამას მოჰყვა საქართველოს მთავრობის რეაქცია, ეკონომიკური სანქციები აჭარის წინააღმდეგ, რითაც დაძაბულობა კიდევ უფრო გაიზარდა. სიტუაცია თითქოს დარეგულირდა შეთანხმების შემდეგ, რომელიც შედგა 18 მარტს აბაშიძე-სააკაშვილს შორის. მიუხედავად ამისა, შეთანხმების ნაწილობრივმა შესრულებამ არჩევნებამდე მაინც მნიშვნელოვნად ვერ შეამცირა არსებული დაძაბულობა...”

ოპოზიციური შეკრებები აჭარის ხელისუფლების მხარდამჭერთა მიერ ძალის გამოყენებით იყო დარბეული ან დაშლილი.. იმ პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისები, რომლებიც აჭარის ხელისუფლების ოპოზიციაში იყვნენ, გაძარცვეს და დაარბიეს, ოპოზიციონერ აქტივისტებს და ჟურნალისტებს შეურაცხყოფას აყენებდნენ ან იტაცებდნენ, საარჩევნო კომისიების წევრებს აშინებდნენ. აჭარაში ძალადობისა და დაშინების ინციდენტებს წინა არჩევნების დროსაც ჰქონდა ადგილი, თუმცა ინტენსიურობა და სისწორე ამჯერად ბევრად

უფრო მაღალი იყო. მთლიანობაში, აჭარაში არსებული სიტუაცია არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დემოკრატიულად წარმოედგინათ კანდიდატურები არჩევნების პროცესებში.»

53. ანგარიშში ასევე გაკეთებულია კომენტარი სიტუაციაზე, რომელიც შეიქმნა 2004 წ. 2 აპრილის ცესკოს გადაწყვეტილების გარშემო, როდესაც გაუქმდა ხულოსა და ქობულეთის რაიონების არჩევნების შედეგები და დაინიშნა განმეორებითი არჩევნები ამ ოლქებში:

“2 აპრილს, ცესკომ გადაწყვიტა ხულოსა და ქობულეთის რაიონების არჩევნების შედეგების გაუქმება და 18 აპრილს ამ ოლქებში განმეორებითი არჩევნების დანიშვნა. გარდა ამისა, ცესკომ დაითხოვა ამ ორი საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა სრულად და შექმნა ორი დროებითი ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ცესკოს წევრებისგან და ცესკოს თანამშრომლებისგან, იმისათვის რომ განმეორებითი არჩევნების ორგანიზება მოეხდინათ.

2 აპრილს, ცესკოს დროებითი ჯგუფები გაიგზავნა აჭარაში, მაგრამ მათ მალევე აქტიური წინააღმდეგობა შეხვდათ. 13-14 აპრილს, დროებით ჯგუფებს ხალხის ბრბომ იძულებით დაატოვებინა აჭარის ტერიტორია. იმავე დღეს, ცესკოს თავმჯდომარე არ შეუშვეს აჭარაში, ჩოლოქის საგუშაგოზე, ადმინისტრაციული საზღვარი. 16 აპრილს, პრესკონფერენციაზე, ცესკოს თავმჯდომარემ საჩივარა, რომ უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით, ხულოსა და ქობულეთში არ ჩატარდებოდა არჩევნები 18 აპრილს. მიუხედავად ამისა, არჩევნები ოფიციალურად არ გაუქმებულა.

ცესკომ გადაწყვეტილება ხულოსა და ქობულეთის რაიონებში არჩევნების შედეგების გაუქმებასთან და ამ ორ ოლქში განმეორებითი არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით მიიღო საარჩევნო კოდექსის 105-ე მუხლის § 13 და § 13 საფუძველზე.

არჩევნების წინა დღეს, საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ სცადა გაერკვია ცესკოს თავმჯდომარესთან, თუ ჰქონდა ცესკოს უფლებამოსილება გაუქმებინა საოლქო საარჩევნო კომისიის შედეგები. ამ დისკუსიების დროს, ცესკოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს რა თქმა უნდა სადაო საკითხი იყო. მაშინ როცა საარჩევნო კოდექსის 105-ე მუხლის § 13 ანიჭებს ცესკოს უფლებამოსილებას განიხილოს საუბნო საარჩევნო კომისიის დოკუმენტაცია, ხელმეორედ გადაითვალოს ბიულეტენები და შეაჯამოს შედეგები საუბნო საარჩევნო კომისიის პროტოკოლების საფუძველზე, საარჩევნო კოდექსში არც ერთი დებულება არ ანიჭებს ცესკოს უფლებამოსილებას გააუქმოს მთელს ოლქში არჩევნების შედეგები.

ფაქტიურად, ცესკომ მარტივად გააუქმა მთელი ოლქის შედეგები, ისე რომ არ გამართულა ჩვენებების მოსმენა და თითოეულ საუბნო კომისიაში გარემოებების გამოძიება ან იმის დადგენა თუ იყო საკმარისი ხმების რაოდენობა გაუქმებულ უბნებზე იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულიყო 105-ე მუხლის § 12-ში აღნიშნული კრიტერიუმები. გარდა ამისა, ცესკოს არ განუხილია საარჩევნო მასალა. სხვა ადგილებში, სადაც შედეგების გაუქმება მოხდა ეს ხდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიების ან ადგილობრივი სასამართლოების მიერ.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დარღვევებს ჰქონდა ადგილი ხულოს და ქობულეთის რაიონებში, გადაწყვეტილება ამ შედეგების გაუქმებისა და განმეორებითი არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით არ მოდიოდა შესაბამისობაში იმ ფაქტთან, რომ სხვა ოლქებში დარღვევების უმრავლესობას შედეგად არ მოჰყოლია საოლქო საარჩევნო კომისიების შედეგების მთლიანად გაუქმება. უფრო მეტიც, გამოყენებული იურიდიული არგუმენტი და იურიდიული საფუძველები იყოს სუსტი ამასთან დაკავშირებით. საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას მიანიშნა, რომ 105- მუხლის –ის § 12 უაკვშირდება უფრო მეტად მაჟორიტარულ არჩევნებს, ვიდრე პროპორციულს. ამ მუხლის ციტირება, უფრო მეტად ვიდრე 105 მუხლის § 16 –ის (რომელიც კერძოდ ნახსენებია პროპორციულ არჩევნებთან მის შესაბამისობასთან დაკავშირებით) კითხვებს ბადებს, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო არის ერთადერთი ერთეული პროპორციული არჩევნებისათვის თუ 75 “ფრაგმენტი”. ეს საკითხი შესაბამისად არ არის განსაზღვრული საარჩევნო კოდექსში. უნდა იქნას თუ არა გამოყენებული 105-ე მუხლის § 16, მაშინ არჩევნები აგრეთვე განმეორებით უნდა ჩატარდეს კიდევ სადმე, სხვა ოლქებში, რადგან შედეგების გაუქმებით ამომრჩეველთა 10%-ზე მეტი დაზარალდა ოლქში. ამიტომაც, აღმოჩნდა რომ ცესკომ გამოიყენა განსხვავებული და იურიდიულად სადაო პროცედურები მხოლოდ ამ ორი ოლქისთვის.

საარჩევნო დამკვირვებლებმა გაასაჩივრეს არჩევნების შედეგების გაუქმება და განმეორებითი არჩევნების დანიშვნა ხულოსა და ქობულეთში. მოსმენის დროს ნათელი გახდა, რომ ცესკოს ბრძანებულება 82/2004 ეფუძნებოდა სადაო პროცედურას. ცესკომ ვერ დაადასტურა, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება ოლქის შედეგების გაუქმებასთან დაკავშირებით უბნების საფუძველზე. თბილისის საოლქო სასამართლომ მხარი დაუჭირა ცესკოს გადაწყვეტილებას და გააპროტესტა არჩევნებზე დამკვირვებელთა უფლებამოსილება საქმის აღძვრასთან დაკავშირებით. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მათი საჩივრები იყო დაუშვებელი [დასაშვები], რადგან მათი ლეგიტიმური უფლებები ან ინტერესები არ იყო დაზარალებული. დამკვირვებლებმა გაასაჩივრეს ეს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში, რომელმაც მათ წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება დასურულ სხდომაზე.

გადაწყვეტილება სარჩელის არ დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნებოდა მომნიშვნელობს, რომელთაც არ ჰქონდათ გასაჩივრების ლეგალური უფლება, დიდად სადაოა. საარჩევნო კოდექსში მკაფიოდ არ არის აღნიშნული, რომ დამკვირვებლებს შეუძლიათ ცესკოს გადაწყვეტილების გასაჩივრება საოლქო საარჩევნო კომისიის შედეგების გაუქმებასთან დაკავშირებით, რადგან საარჩევნო კოდექსში არ არის დებულება, რომლის მიხედვითაც ცესკოს შეუძლია ასეთ შემთხვევებში გააუქმოს საოლქო საარჩევნო კომისიის შედეგები. შესაბამისად ცესკოს გადაწყვეტილება უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ და არა დამკვირვებელთა უფლებები. ასეთი მნიშვნელოვანი და დასაბუთებული საქმის არ აღძვრამ შექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ საარჩევნო კანონი იყო გამოყენებული არა ტრანსფარენტულად უსაფუძვლოდ.”

IV. შედარებითი სამართალი

ა. ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემები ევროპაში (საფრანგეთის სენატის სამუშაო დოკუმენტი, *შესაღარებელი კანონმდებლობის სერია, მარტი, 2006*)

54. ერთ-ერთ ასეთ სამუშაო დოკუმენტში, საფრანგეთის სენატი განიხილავს ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემებს გერმანიაში, ბელგიაში, დანიაში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, ნიდერლანდებსა და პროტუგალიაში.

55. გარდა დიდ ბრიტანეთსა და პროტუგალიაში, ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ამომრჩეველთა საწყისი რეგისტრაცია და საარჩევნო სიებში შემდგომი შესწორებები მიმდინარეობს ავტომატურად ხელისუფლების მიერ მოსახლეობის მხრიდან საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გაკეთებული განცხადებების საფუძველზე.

56. პორტუგალიაში, საარჩევნო სიების შედგენა და შესწორება დამოკიდებულია ამომრჩეველთა ინდივიდუალურ მოთხოვნებზე. პორტუგალიაში მოქმედი კანონის მიხედვით, ასევე გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საარჩევნო რეგისტრაციისთვის შესაბამისი ნაბიჯების გადაუდგმელობის შემთხვევაში.

57. დიდ ბრიტანეთში მოქმედებს შერეული სისტემა. ხელისუფლება ავტომატურად ადგენს საარჩევნო სიებს, მოსახლეობის საყოველთაო აღწერისა და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. მიუხედავად ამისა, საარჩევნო სიებში ნებისმიერ სახის შემდგომი შესწორებები დამოკიდებულია ამომრჩეველთა ინდივიდუალურ განცხადებებზე.

ბ. საარჩევნო ადმინისტრაცია ევროპაში

58. მას შემდეგ რაც განვიხილეთ საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემები ბელგიაში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, ბულგარეთში, ჩეხეთში, გერმანიაში, უნგრეთში, ირლანდიაში, მოლდოვაში, პორტუგალიაში, სერბეთში, ესპანეთში, შვედეთსა და დიდი ბრიტანეთში, სასამართლომ აღნიშნა რომ ევროპაში არ არსებობს ერთნაირი საარჩევნო ადმინისტრირების სისტემა.

59. როგორც ვენეციის კომისიამ აღნიშნა (საარჩევნო საკითხების დადებითი პრაქტიკის კოდექსი, განმარტებითი მოხსენება, 2002 წ. 18–19 ოქტომბერი, §§ 70 და 71), *“სახელმწიფოებში, სადაც ადმინისტრაციულ ხელისუფლებას აქვს პოლიტიკური ძალუფლებისგან დამოუკიდებლად ხანგრძლივი არსებობის ტრადიცია, მისაღებია არჩევნების ორგანიზება ადმინისტრაციულმა ხელისუფლებამ განახორციელოს, და მასზე მონიტორინგს განახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო”*. მიუხედავად ამისა, ისეთ ქვეყნებში სადაც ნაკლებია გამოცდილება პლურალისტული არჩევნების ორგანიზების, საარჩევნო კომისიები, არა ხელისუფლების უფლებამოსილების ქვეშ, შეიქმნა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილიყო არჩევნების სათანადო დონეზე ჩატარება.

60. დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტმა (IDEA) დაადგინა სამი ტიპის ან მოდელი არჩევნების მენეჯმენტი – დამოუკიდებელი, სამთავრობო და შერეული მოდელი (იხ. საერთაშორისო IDEA სახელმძღვანელო: არჩევნების მენეჯმენტის პროექტი). არჩევნების ჩატარების დამოუკიდებელი მოდელი არსებობს ისეთ ქვეყნებში, სადაც არჩევნების ორგანიზება და მართვა ხდება საარჩევნო მართვის ორგანოს მიერ, რომელიც ინსტიტუციონალურად არის დამოუკიდებელი და ავტონომიური მთავრობის აღმასრულებელი შტოებისგან და რომელსაც გააჩნია და განკარგავს საკუთარ ბიუჯეტს. ის შესაძლოა ანგარიშვალდებული იყოს კანონმდებლობის წინაშე, ან სახელმწიფოს მეთაურის წინაშე, მაგრამ არა მთავრობის წინაშე. სამთავრობო მოდელი არსებობს ისეთ ქვეყნებში, სადაც არჩევნების ორგანიზება და მართვა ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სამინისტროების (როგორცაა შინაგან საქმეთა სამინისტრო) მეშვეობით და/ან ადგილობრივი ხელისუფლების საშუალებით. საარჩევნო მენეჯმენტის შერეული მოდელი ჩვეულებრივ მოიცავს ორ კომპონენტ ორგანოს, და არსებობს ორი სტრუქტურა მასში: პოლიტიკის, მონიტორინგის გამტარებელი ან ზედამხედველი ორგანო, რომელიც დამოუკიდებელია მთავრობის აღმასრულებელი შტოსგან და აღმასრულებელი სტრუქტურა სახელმწიფოს დეპარტამენტში და/ან ადგილობრივ მთავრობაში.

61. IDEA –ს მიერ მიღებული კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით, ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოდან 22 ქვეყანა, ძირითადად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, მისდევს დამოუკიდებელ მოდელს. 16 სახელმწიფოში მოქმედებს სამთავრობო მოდელი და 9 ქვეყანაში – შერეული. სახელმძღვანელო IDEA –ში განხილული, ხელშეკრულებაში მონაწილე 13 სახელმწიფოდან 4 კლასიფიცირდება, როგორც დამოუკიდებელი მოდელის მიმდევარი (ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ოლდოვა და სერბეთი), 6 – სამთავრობო მოდელი

(ბელგია, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, იტალია, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი) და 3 – შერეული მოდელი (უნგრეთი, პორტუგალია და ესპანეთი.)

62. ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოებში არ არსებობს ზოგადი ერთნაირი სტანდარტები საარჩევნო კომისიების შემადგენლობასთან და მათი წევრების დანიშვნასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სტრუქტურას, რომელიც კომპეტენტურია დანიშნოს კომისიის წევრები. არსებობს რამდენიმე ქვეყანა, სადაც ერთი ინსტიტუტი ახორციელებს ამას (პარლამენტი – ბოსნია და ჰერცეგოვინაში, სერბეთსა და უნგრეთში; სახელმწიფოს მეთაური ბულგარეთსა და დიდ ბრიტანეთში; შვედეთში კი მთავრობა). ასეთ შემთხვევებშიც კი, მიუხედავად ამისა, სხვა ინსტიტუტებს და სტრუქტურებს ასევე შეუძლიათ ჩაერიონ წარდგენის პროცესში. მაგალითად, ბულგარეთში ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის წევრები ინიშნებიან საპარლამენტო პარტიებთან და კოალიციებთან წარმოებული კონსულტაციების შემდეგ. უნგრეთში, ეროვნული საარჩევნო კომიტეტის წევრების არჩევა მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე, მას შემდეგ რაც მხედველობაში მიიღებენ პარტიების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს. დიდ ბრიტანეთში, მისი უდიდესობა ნიშნავს კომისიის წევრებს თემთა პალატიდან მიმართვის დროს, მას შემდეგ რაც კონსულტაციები დასრულდება რეგისტრირებული პარტიების ლიდერებთან.

63. არსებობს სხვა სისტემებიც, რომლის მიხედვითაც ხდება წევრების დანიშვნა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ, მათ შორის სასამართლოს ხელისუფლების მიერ. მოლდოვაში, 1 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, 1 წევრს – მთავრობა და 7 – პარლამენტი. პორტუგალიაში, ეროვნული საარჩევნო კომისია შედგება სასამართლო ხელისუფლების მიერ დანიშნული მოსამართლისგან, პარლამენტის მიერ დასახელებული მოქალაქეებისაგან და სამთავრობო სტრუქტურების მიერ დასახელებული 3 სპეციალისტისგან. ესპანური საარჩევნო კომისიას თითქმის სრულად გააჩნია მოსამართელთა შემადგენლობა, რადგან უმრავლესობა წევრებისა პირდაპირ ინიშნებიან მოქმედი მოსამართლეებიდან, სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭოს მიერ; კომისიაში დანარჩენ წევრებს ირჩევენ პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი ექსპერტებიდან.

64. იმ სისტემებში, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს საარჩევნო მენეჯმენტის თვალსაზრისით სამთავრობო მოდელად, როგორცაა გერმანია ან ბელგია, საარჩევნო კომისიების/კომიტეტების წევრების უმრავლესობა ინიშნება თავმჯდომარის მიერ ამომრჩევლებიდან (მოსამართლე ბელგიაში; გერმანიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი არჩევნების მეთვალყურეობაზე უფლებამოსილი ოფიცერი). გერმანიაში წევრების უმრავლესობას წარადგენს პოლიტიკური პარტიები. იტალიაში საარჩევნო საბჭო პასუხისმგებელია საარჩევნო სიების კანონიერებაზე და კანდიდატების შერჩევა ხდება საკასაციო სასამართლოდან ან სხვა ტრიბუნალიდან. ზემოხსენებული განსხვავება ქვეყნებს შორის არის, ის რომ ასეთ ქვეყნებში საარჩევნო ორგანოების შედგენა მიმდინარეობს ერთადერთი მიზნისთვის არჩევნების ორგანიზებისთვის.

65. ზოგიერთ სახელმწიფოში, როგორცაა ბოსნია და ჰერცეგოვინა, უნგრეთი, პორტუგალია, ესპანეთი და შვედეთი, საარჩევნო კომისიები შეიძლება დაფუძნებული იყოს ექსპერტებისგან. სხვა სახელმწიფოებში, მაგალითად

ბულგარეთი, მოლდოვა, სერბეთი, კომისიები შედგება ექსპერტებისგან და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისგან (კომბინირებული შემადგენლობა). სერბეთში და უნგრეთში საარჩევნო კანონმდებლობა უზრუნველყოფს კომისიის შემადგენლობის გაფართოების შესაძლებლობას, რათა მასში შედიოდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რომლებმაც საარჩევნო სიები წარმოადგინეს.

66. საერთო ტენდენცია არის ის, რომ გადაწყვეტილებების მიღება ხდება უბრალო უმრავლესობით (გერმანია, უნგრეთი, მოლდოვა, პორტუგალია, სერბია, ესპანეთი და შვედეთი). მხოლოდ ბოსნია და ჰერცეგოვინაში (2/3 უმრავლესობა, გარდა მუნიციპალური კომისიებისა), ბულგარეთში (2/3 უმრავლესობა), და ჩეხეთის რესპუბლიკაში (აბსოლუტური უმრავლესობა) საჭიროა კვალიფიცირებული, განსაკუთრებული უმრავლესობა. ბოსნია და ჰერცეგოვინაში, თუ გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა პირველ სხდომაზე, მაშინ გადაწყვეტილების მიღება ხდება მეორე სხდომაზე ხმათა უმრავლესობით.

67. ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმა აქვს კომისიის თავმჯდომარეს გერმანიაში, პორტუგალიაში, ესპანეთსა და შვედეთში, რითაც თავიდან იქნება აცილებული შესაძლო დაბრკოლებები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სხვაგვარად არის ჩეხეთის რესპუბლიკაში, ხმათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში, წინადადება ვარდება. ფაქტია, რომ გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი ან აღმასარულზელი ხელისუფლება, როგორც საქართველოში, რა თქმა უნდა გარკვეულ ფაქტორს ქმნის, როცა ხდება საარჩევნო ორგანოს დამოუკიდებლობის შეფასება. ეს შესაძლოა შევადაროთ მხოლოდ პოზიციას, რომელიც აქვს არჩევნებზე მეთვალყურე ფედერალურ ოფიცერს ფედერალურ საარჩევნო კომიტეტში ან მხარის არჩევნებზე მეთვალყურე ოფიცერს მხარის საარჩევნო კომიტეტებზე გერმანიაში, რომლის დანიშვნა დამოკიდებული მხარის მთავრობის ფედერალური შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხდება. ორივე შემთხვევაში, ოფიცერი არის კომიტეტის თავმჯდომარე და გააჩნია გადამწყვეტი ხმა. განსხვავებით ხდება განხილული ქვეყნების უმრავლესობაში, თავმჯდომარეს ირჩევს თვითონ საარჩევნო კომისია (ბოსნია და ჰერცეგოვინა, უნგრეთი, მოლდოვა, სერბეთი და ესპანეთი).

68. საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გარანტი არის ის, რომ პირები, რომლებიც შესაძლოა მონაწილეობდნენ ინტერესთა კონფლიქტში, არ უნდა ინიშნებოდნენ საარჩევნო კომისიებში, განსაკუთრებით რეგისტრირებული კანდიდატები. მსგავსი წესი მოქმედებს ხელშეკრულებაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებშიც (ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, უნგრეთი, მოლდოვა, პორტუგალია, სერბია, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი). გარდა არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისა, შეუთავსებლობის მოთხოვნები შესაძლოა ეხებოდეს ასევე პოლიტიკური პარტიების ან ორგანიზაციების წევრებს, რომლებიც წარადგენენ კანდიდატებს (უნგრეთი და მოლდოვა), რეგისტრირებული პარტიების წევრებს ან თანამშრომლებს (დიდი ბრიტანეთი), პარლამენტის წევრებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს, შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიცრებს (ბულგარეთი), რესპუბლიკის

პრეზიდენტს, ადმინისტრაციული სამსახურების ხელმძღვანელებს, სახელმწიფო მოღვაწეებს და მერებს (უნგრეთი).

69. იმისათვის რომ მიღწეულ იქნას შესაბამისი ბალანსი პოლიტიკურ წარმომადგენლებს შორის კომისიაში, არსებობს სისტემები, რომლებიც განსაზღვრავს გარკვეულ წესებს. მაგალითად, ბულგარეთსა და სერბეთში, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ან კოალიციას არ შეუძლია კომისიაში იყოს უმრავლესობით. ბულგარეთში, თავმჯდომარე და მდივანი მიეკუთვნებიან განსხვავებულ პოლიტიკურ პარტიებს. ჩეხეთის რესპუბლიკაში, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე შეიძლება არ წარმოადგენდნენ ერთი და იმავე პოლიტიკურ პარტიას ან კოალიციას.

კანონმდებლობა

I. №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა

70. მომჩივანი პარტიამ გაასაჩივრა № 1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევის ფაქტი ამომრჩეველთა რეგისტრაციის შესახებ, რომელიც განსაზღვრული იყო ცესკოს 2004 წ. 27 თებერვლის № 30/2004 ბრძანებულებაში. შემდგომში მომჩივანი მხარე აპროტესტებდა საპრეზიდენტო კონტროლს ყველა დონის საარჩევნო კომისიებზე 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების დროს. ბოლოს, მომჩივანი პარტიის მტკიცებით, საბოლოო ხბემის რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოქვეყნდა 2004 წ. 18 აპრილს ისე რომ, ხულოსა და ქობულეთის რაიონებში არ იყო ჩატარებული არჩევნები.

71. №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლში მოცემულია შემდეგი:

“მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომელიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებს უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას”.

ა. მომჩივანი მხარის დაზარალებულის სტატუსი

72. სასამართლო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ცნებები „ინდივიდუალური უფლებები“ (იხ. საქმე – აზიზი კვირპროსის წინააღმდეგ, № 69949/01, § 25, ECHR 2004 V, და ზდანოკა ლატვიის წინააღმდეგ, [GC], #58278/00, § 102, ECHR 2006 ...) ან „სუბიექტური უფლებები (იხ. მეღნიჩენკო უკრაინის წინააღმდეგ, № 17707/02, § 54, ჩ დ 2004 X), რომლებიც მხარდაჭერილია №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით, ძირითადად შემოიფარგლება ფიზიკური პირებით. მიუხედავად ამისა, ბოლო დროს მიღებულ იქნა, რომ როდესაც საარჩევნო კანონმდებლობა ან ხელისუფლების მიერ განხორციელებული ზომები ზღუდავს ინდივიდუალური კანდიდატის უფლებას არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, პარტიული სიის საშუალებით, შესაბამის პარტიას, როგორც იურიდიულ პირს უფლება აქვს

№1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით დაზარალებულად გამოაცხადოს თავი, თავის კანდიდატებისგან დამოუკიდებლად (იხ. რუსეთის მრეწველთა და სხვათა კონსერვატიული პარტია რუსეთის წინააღმდეგ, ნოს. 55066/00 and 55638/00, §§ 53-67, ECHR 2007 ...).

73. რაც შეეხება არსებული საქმის გარემოებებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ საარჩევნო კოდექსის 106-ე მუხლის § 7 მიხედვით, თუ პარტიული სიით არჩეული პარლამენტის წევრი გადადგება, მაშინ შესაბამისი ადგილი უნდა დაიკაოს იმ კანდიდატმა, რომელსაც მისი შემდგომი ადგილი უკავია აღნიშნულ პარტიულ სიაში. უფრო მეტიც, საარჩევნო კოდექსის 100§2 მუხლის გამო, პარტიას ან ბლოკს უფლება აქვს გააუქმოს თავისი კანდიდატის წარდგენა, იმ შემთხვევაშიც კი თუ უკვე მოხდა მისი არჩევა და მისი, როგორც პარლამენტის წევრის ფორმალურად ცნობა. სხვა სიტყვებით, მას შემდეგ რაც პროპორციული სისტემის არჩევნების შედეგად პარტია მოიპოვებს ადგილებს პარლამენტში, მოქმედი ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით ამ ადგილებს საპარლამენტო ხელისუფლება გადასცემს თავის ინდივიდუალურ წევრებს და ამ უკანსკელი საპარლამენტო ქმედების გასაჩივრების შემთხვევაშიც კი რჩება პარტიის კუთვნილებად, სანამ საპარლამენტო მანდატის ვადა არ დასრულდება.

74. ზემოაღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, სასამართლო აცხადებს, რომ არსებულ საქმეში, მომჩივანს, როგორც მომჩივან პარტიას, სამართლიანად შეუძლია მოითხოვოს დაზარალებულის სტატუსი №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით, კონვენციის 34-მუხლის შესაბამისად.

გ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

1. მთავრობის არგუმენტები

75. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ცესკოს 2004 წ. 27 თებერვლის № 30/2004 ბრძანებულება, ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემის შესახებ, მიზნად ისახავდა თითოეული პიროვნებისათვის ხმის მიცემის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. საარჩევნო სიების მდგომარეობა, როგორც იყო 2003 წ. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს – უზუსტობები და დაკომპლექტებული ამომრჩეველთა სხვადასხვა ხელნაწერი სიებით, რომლებიც ეჭვს იწვევდა – იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც მოხდა არჩევნების შედეგების მასობრივი გაყალბება. ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემის შემოღებით ცესკომ წარმატებით მოახერხა გადაეჭრა უზუსტობების პრობლემა საარჩევნო სიებში და მოახერხა შეექმნა ამომრჩეველთა ერთიანი სია. ამის განხორციელება უნდა მომხდარიყო საგანგებო სიტუაციაში, რომელშიც ცესკოს უწევდა მუშაობა, როცა წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგები გაუქმდა და საპრეზიდენტო და განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო რამდენიმე კვირაში. ცესკოს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა რომ აელო პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით, რადგან დროის სიმციროს გამო პარლამენტმა ვერ მოახერხა ამის განხორციელება. შემდგომში მთავრობამ ამ მიმართულებით აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც 2003 წ. 26 დეკემბერს საკონსტიტუციო

სასამართლომ შეაჩერა საარჩევნო კოდექსის დებულებები, რომლებიც არეგულირებდა ამომრჩეველთა სიების შედგენისათვის განსაზღვრულ ვადებს (§ 45 ზემოთ), ცესკოს სადავო ბრძანებულება მეტი არაფერი იყო, თუ არა საგანგებოდ მიღებული ზომა, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული საკანონმდებლო ვაკუუმის შევსებას.

76. მთავრობა აღნიშნავდა, რომ ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემის წარმოდგენამ ხელი შეუწყო პასიური ამომრჩევლების საარჩევნო პროცესში უფრო აქტიურად ჩართვას. ამ რეგისტრაციის საფუძველზე პასუხისმგებლობის გარკვეულწილად ამომრჩევლებზე გადატანით, ხელისუფლებამ მთლიანად შეასწორა მთლიანი საარჩევნო სია და შესაბამისად 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები შედარებით სამართლიანად ჩატარდა, ვიდრე წინა. მთავრობამ სასამართლოს მიმართა, იმისათვის რომ მხედველობაში მიეღო საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებელთა შეფასებები ამ მიმართულებით (§50 ზემოთ).

77. მთავრობის განცხადებით, მომხივანი პარტიას არ წარუდგენია არანაირი დამატკიცებელი საბუთი საჩივრის მხარდასაჭერად, რომ ცვლილება ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემაში არღვევდა მის უფლებებს №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით.

2. განმცხადებლის არგუმენტები

78. მომხივანმა მხარემ საპასუხოდ საჩივარა, რომ ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემა, შეცვლილი 2004 წ. 27 თებერვლის ცესკოს ბრძანებულებით №30/2004, საფრთხეს უქმნიდა სამართლიანი არჩევნების ჩატარების და ეფექტურობის გარანტიას, რომელიც განსაზღვრულია №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლში.

79. მომხივანი პარტიის აზრით, ზემოთ ხსენებული ბრძანებულება ასევე არღვევდა საარჩევნო კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებს. კერძოდ, კოდექსის 9§5 მუხლის მიხედვით ამომრჩეველთა საარჩევნო სიები უნდა შედგეს არა ამომრჩეველთა ინიციატივის საფუძველზე, არამედ შესაბამის სახელმწიფო სააგენტოებში, სამსახურებში არსებული, ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე. გარდა ამისა, საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის § 8 მიხედვით საარჩევნო ადმინისტრაციამ, და არა ამომრჩევლებმა, უნდა გადახედოს მთლიან საარჩევნო სიას. საბოლოო ჯამში, სადაო ბრძანებულება არ მოიცავდა საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლში ნახსენებ იმ ამომრჩევლებს – რომლებიც, მაგალითად არჩევნების დღეს იმყოფებოდნენ პოლიციის საპატიმროში ან წინასწარი დაკავების საკნებში, მკურნალობდნენ საავადმყოფოში და ა.შ. – რადგან, მათ ვერ მოახერხეს წინასწარი რეგისტრაციის პროცედურის გავლა.

80. მომხივანი მხარის მტკიცებით, ცესკომ ამომრჩეველთა რეგისტრაციის დამაბნეველი სისტემის მიზანმიმართულად შემოღებით, რომელიც ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის დებულებებს, არა მხოლოდ ხელი შეუწყო საარჩევნო გაყალბებების სხვადასხვა შესაძლებლობებს – ამომრჩევლებს მაგალითად შეეძლო რეგისტრაცია გაეწეო სხვადასხვა საარჩევნო უბანზე და ხმა მიეცა რამდენჯერმე, მაშინ როცა სხვები, რომლებმაც ვერ მოახერხეს

წინასწარი რეგისტრაცია არ შეეძლოთ ხმის მიცემა – ამით აგრეთვე პასუხისმგებლობა სახელმწიფოდან გადადიოდა ამომრჩევლებზე. ეს, თავის მხრივ არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებებს №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით. უფრო მეტიც, რეგისტრაციის წესების უცაბედმა შეცვლამ, რომელზედაც ამომრჩევლები მიხვეულები იყვნენ, გამოიწვია ელექტორატის აქტივობის შემცირება.

81. ბოლოს, გამცხადებელმა მხარემ მთავრობა დაადანაშაულა არასწორ არგუმენტების გაგრძელებაში, რომ პარლამენტს არ შეეძლო ნორმალურად ფუნქციონირება დროის შეზღუდვების გამო, მაშინ როცა 2004 წ. თებერვალს საკანონმდებლო ორგანომ განიხილა და დაამტკიცა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილებების პაკეტი.

3. სასამართლოს შეფასება

82. სასამართლო მიიჩნევს, რომ საარჩევნო სიების სათანადო მენეჯმენტი, ეს არის წინაპირობა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისათვის. ყველა უფლების მქონე ამომრჩევლისათვის რეგისტრაციის საშუალების მიცემა, უზრუნველყოფს არჩევნების, ხმის მიცემის უნივერსალურობის და თანასწორობის პრინციპებს და ინარჩუნებს ზოგად ნდობას სახელმწიფო ადმინისტრაციის მიმართ საარჩევნო პროცესებთან მიმართებაში. სასამართლოს თვალში საარჩევნო სიებში უზუსტობამ შესაძლოა სერიოზულად დააზიანოს, ჩრდილი მიაყენოს №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლში განსაზღვრული საარჩევნო უფლებების ეფექტურობას და განხორციელებას. (იხ. *mutatis mutandis*, *Melnychenko*, ზემოთ §59).

83. არასრულყოფილი საარჩევნო სია განსაკუთრებით გავლენას ახდენს აპრიორი ამომრჩეველთა უფლებებზე, რომელიც რეალურად არ წარმოადგენს არსებული განსახილველი საქმის საკითხს. მიუხედავად ამისა, არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის უფლების ეფექტურობა ეჭვგარეშე დამოკიდებულია ხმის მიცემის სამართლიან უფლებაზე. ამიტომაც, თუ საარჩევნო სიაში არ არის ზოგიერთი ამომრჩეველი და/ან სხვები მრავალჯერ არიან რეგისტრირებულნი, ასეთი არასწორი მენეჯმენტი არამხოლოდ დააზარალებს ამომრჩევლის ინტერესებს არამედ შესაძლოა აგრეთვე შეამციროს კანდიდატის შანსები თანასწორობისა და სამართლიანობის პირობებში მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. სასამართლო ამის გათვალისწინებით აღნიშნავს, რომ საკმაოდ ახლო მიზეზობრივი კავშირი არსებობს მომჩივანი პარტიის უფლებას, მის საჩივარსა და ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემას შორის (რომელიც იმ დროს არსებობდა), რომ მონაწილეობა მიიღოს 2004 წ. 28 მარტის განმეორებით არჩევნებში..

84. მომჩივანი მხარე ძირითადად ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ ცესკომ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და დაარღვია საარჩევნო კოდექსი 2004 წ. 27 თებერვალს მიღებული სადაო ბრძანებულებით №30/2004. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს კომპეტენცია ადგილობრივ

კანონმდებლობასთან ხელისუფლების გადაწყვეტილებები შესაბამისობის შეფასებაში შეზღუდულია (იხ. Håkansson da Sturesson შედეგის წინააღმდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილება 21 თებერვალი 1990, Series A # 171-A, გვ.16, §47). გარდა ამისა, სასამართლოს არ შეუძლია ადგილობრივი სასამართლოების ადგილის დაკავება, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ პრობლემები ადგილობრივი კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით (იხ. Waite and Kennedy v. Germany [GC], #. 26083/94, § 54, ECHR 1999-I). წარმოდგენილ საქმეში რეალურ ამოცანას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება არა ცესკოს ბრძანებულების ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, არამედ იმის განხილვა, შეესაბამებოდა თუ არა ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემა, ყველა გარემოებების გათვალისწინებით, მომხივანი მხარის უფლებას არჩევნებში კენჭისყრასთან დაკავშირებით (იხ., mutatis mutandis, Melnychenko, მოცემულია ზემოთ, § 60).

85. მხედველობაში იღებს რა OSCE/ODIHR საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში მოცემულ საკითხებს 2003 წ. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით (პარაგრაფი 49 ზემოთ), სასამართლო ადასტურებს მთავრობის მოსაზრებას, რომ 2003 წ. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ზუსტი საარჩევნო სიების არ არსებობა. ზემოაღნიშნული ანგარიშის მიხედვით, საარჩევნო სიებში გამოტოვილი იყო „მთელი კორპუსები ან ქუჩები“, სიებში შეყვანილი იყო ავადმყოფი ადამიანები, დიდი რაოდენობით დუბლირებული ჩანაწერები სიებში, ამომრჩევლები ჩაწერილი იყვნენ არასწორ ოლქებში, და ა.შ. კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებმა ვერ მოახერხეს „პრაქტიკული და სისტემური ფორმით გამოექვეყნებინათ სიები“. ამ მხრივ სასამართლოზე განსაკუთრებული შტაბჰელილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ცესკომ ვერ შეძლო ამომრჩეველთა ცენტრალური ერთიანი სიის შექმნა, რამაც გამოიწვია ამ საპარლამენტო არჩევნების პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ გამოყენებული სიების ტიპებში სრული თანხვედრის არ არსებობა.

86. ამის საპასუხოდ, OSCE/ODHIR საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშის მიხედვით 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი არჩევნების თაობაზე (“2004 წ. 28 მარტის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის ანგარიში”; პარაგრაფები 50 და 51 ზემოთ), სიტუაცია ამომრჩეველთა სიებთან მიმართებაში მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა, მას შემდეგ რაც მიღებულ იქნა სადაო ბრძანებულება №30/2004, 2004 წ. 27 თებერვალს, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილ იქნა ახალი სისტემა ამომრჩეველთა რეგისტრაციის შესახებ. იმ მოთხოვნის შედეგად, რომელიც არსებობდა ამომრჩევლების მიმართ, რომ მისულიყვნენ საარჩევნო უბნებზე, იმისათვის რომ დარეგისტრირებულიყვნენ და შემდეგ გადაემოწმებინათ რეგისტრაცია, „ბევრი შეცდომა აღმოიფხვრა“ და უფრო მეტიც ცესკომ თავი მოუყარა ხელნაწერ ამომრჩეველთა სიებს ერთ კომპიუტერიზებულ მონაცემთა ბაზაში.“ სადაო დებულება აგრეთვე უფლებას აძლევდა ამომრჩევლებს რეგისტრაცია გაეწეოთ არჩევნების დღეს, რაც, როგორც აღნიშნულია 2004 წ. 28 მარტის სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში, დამატებით 145 000 ამომრჩეველს აძლევდა ხმის მიცემის უფლებას. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემის

შეცვლით, ცესკომ პირდაპირ შეასრულა სხვადასხვა საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებლების რეკომენდაციები, რომლებიც დადებითად აფასებდნენ ხელისუფლების მცდელობებს გაუმჯობესებინათ, მოეხდინათ გაერთიანება და კომპიუტერიზაცია საარჩევნო სიების (§§ 46, 50 და 51 ზემოთ).

87. უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წ. 28 მარტის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში დაფიქსირებული იყო აგრეთვე რამდენიმე პრობლემა ამომრჩეველთა რეგისტრაციის ახალ სისტემაში (§ 51 ზემოთ). მიუხედავად ამისა, გადაჭარბებული და დაუჯერებელი იქნებოდა ხელისუფლებისგან იმის მოლოდინი, რომ იდეალურად გადაწყვეტდა ქაოსური საარჩევნო სიების პრობლემას შეზღუდულ დროში, 2003 წ. 25 ნოემბრიდან, როცა საპარლამენტო არჩევნების შედეგები გაუქმდა, 2004 წ. 24 მარტი, თარიღი, როცა განმეორებითი არჩევნები დაინიშნა. სასამართლოს მოსაზრებით, ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ ხელისუბლებამ მხედველობაში მიიღო რა გაუქმებული არჩევნების მიზეზები, გააცნობიერა საარჩევნო სიების პრობლემის არსი და, როგორც 2004 წ. 28 მარტის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშშია აღნიშნული, მცდელობა არ დაუშურებია, რომ გადაეჭრა ეს პრობლემა ისე, რომ განმეორებითი არჩევნები ჩატარებულიყო უფრო სამართლიანად.

88. რაც შეეხება მომჩივანი პარტიის არგუმენტს, რომ უცაბედი ცვლილება რეგისტრაციის სისტემაში მოულოდნელი აღმოჩნდა ამომრჩევლებისათვის, სასამართლო მიიჩნევს, მართლაც რომ სასურველი იქნებოდა შენარჩუნებულიყო საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობა (იხ. ვენეციის კომისიის რეკომენდაცია ამ მიმართულებით, პარაგრაფი 47 ზემოთ). ძირითადი საარჩევნო წესები, რომლებიც ამომრჩეველთა რეგისტრაციას შეეხება, ჩვეულებრივ არ უნდა იცვლებოდეს ძალიან ხშირად და განსაკუთრებით კი არჩევნების წინ, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო რისკავს საფრთხე შეუქმნას თავისუფალი არჩევნებისათვის გარანტიების არსებობისადმი რწმენას და პატივისცემას.

89. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ № 1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, ნებისმიერი საარჩევნო კანონმდებლობა უნდა შეფასდეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ევოლუციის პირობებში, ისე რომ ის საკითხები, რომლებიც მიუღებელია ერთი სისტემის კონტექსტში შესაძლოა გამართლებულ იყოს მეორე სისტემის არსებობის კონტექსტში. (იხ. სხვა ხელისუფლებებს შორის, Py საფრანგეთის წინააღმდეგ, №.66289/01, § 46, ECHR 2005 ... (ამონარიდები)). როგორც უკვე ავღნიშნეთ ზემოთ, წარმოდგენილ საქმეში, საარჩევნო ხელისუფლებას ჰქონდა ის პრობლემა, რომ საარჩევნო სიებში არსებული უზუსტობები უნდა გამოესწორებინა შეზღუდულ ვადებში, „პოსტ რევოლუციურ“ პოლიტიკურ სიტუაციაში (§§ 11-13 და 19-23 ზემოთ). შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ მოულოდნელი ცვლილება ამომრჩეველთა რეგისტრაციის წესებში 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნებამდე 1 თვით ადრე, განსაკუთრებულ მდგომარეობაში, კრიტიკას არ ექვემდებარება დამატებითი ოქმი №1 მე-3 მუხლის მიხედვით.

90. რაც შეეხება, იმას შეესაბამებოდა თუ არა ამომრჩეველთა რეგისტრაციის არსებული სისტემა, რომელითაც ნაწილობრივ გადატანილ იქნა საარჩევნო სიების სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებიდან ამომრჩევლებზე, ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებებს, რათა უზრუნველყოფილიყო მოსახლეობის აზრის

თავისუფლად გამოხატვა, (იხილეთ ჰირსტი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (no. 2) [GC], no. 74025/01, § 57, ECHR 2005 ...), სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მაღალი შეფასება ამ კუთხით.

91. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხე სახელმწიფო მარტო არ იყო ამომრჩეველთა რეგისტრაციის ასეთი სისტემის არჩევისას: დასავლეთ ევროპის რამდენიმე დემოკრატიული ქვეყანა, კერძოდ დიდი ბრიტანეთი და პორტუგალია, აგრეთვე ევუძნებიან ამომრჩეველთა ინდივიდუალურ განცხადებებს, როცა ხდება ეროვნული საარჩევნო სიების შედგენა; პორტუგალიური კანონმდებლობა ასევე ითავლისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მათ წინააღმდეგ, ვინც ეცდება თავი აარიდოს საარჩევნო რეგისტრაციისთვის საჭირო შესაბამის ეტაპებს. (პარაგრაფები 54-57 ზემოთ). ამგვარად, ხელშეუკრულებაში მონაწილე სახელმწიფოებში არსებობს ამომრჩეველთა რეგისტრაციის შესაძლო ვარიანტების მრავალფეროვნება. მათგან არც ერთი კრიტერიუმის ჩათვლა არ შეიძლება უფრო ვალიდურად, სხვასთან შედარებით, ისინი უზრუნველყოფენ, რომ მოსახლეობამ გარანტირებულად შეძლოს აზრის გამოხატვა თავისუფალ, სამართლიან და ნორმალურ არჩევნებში (იხ. *mutatis mutandis*, რუსეთის მეწარმეთა და სხვათა კონსერვატიული პარტია, აღნიშნულია ზემოთ, § 49).

92. სასამართლოს საბოლოოდ მიაჩნია, რომ ამომრჩეველთა რეგისტრაციის არსებული სისტემა თვითონ ვერ გამოიწვევდა მომჩივანი პარტიის უფლების დარღვევას არჩევნებში კენჭისყრის თაობაზე. პირიქით, წარმოდგენილი საქმის სპეციფიკურ გარემოებებში ამ სისტემამ დაამტკიცა, რომ არ გამოუწვევია ბიულეტენების გაყალბების პრობლემა, პირიქით იყო მცდელობა სიტუაციის გამოსწორების.

93. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ მოპასუხე სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური სიტუაციის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, ადგილი არ ჰქონია მომჩივანი პარტიის უფლების დარღვევას არჩევნებში კენჭისყრასთან დაკავშირებით, №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით, 2004 წ. 27 თებერვალს შემოღებული ამომრჩეველთა რეგისტრაციის ახალი სისტემის საფუძველზე.

გ. საარჩევნო კომისიების შემადგენლობა

1. მთავრობის არგუმენტები

94. მთავრობამ საჩივარა, რომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების შესახებ დებულებები, წესები – საარჩევნო კოდექსი, მუხლები 128, 128(1), 128(2) – არ შეცვლილა განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების წინ, არამედ ეს მოხდა 2003 წ. 5 აგვისტოს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა 2003 წ. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე. ეს მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ გამცხადებელი პარტია კმაყოფილი იყო ამ წესებით მიმდინარე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დროს და გასაჩივრება დაიწყო, მხოლოდ მას შემდეგ რაც მოხდა განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმური, თუმცა მათთვის არასასურველი შედეგების გამოქვეყნება.

95. მთავრობა ამტკიცებდა, რომ საარჩევნო კოდექსის მე-18 მუხლის § 3 საკმარის გარანტიებს იძლევა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატები იყვნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ისინი ვალდებული იყვნენ, ზემოხსენებული დებულების მიხედვით, დაეტოვებინათ მათი შესაბამისი პარტიები მას შემდეგ, რაც კომისიებში დაინიშნებოდნენ.

96. და ბოლოს, მთავრობამ საჩივარა, რომ მომჩივანმა პარტიამ არ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი რეალური მტკიცებულებები ან სპეციფიკური ფაქტები, რითაც დასაბუთებოდა მათი საჩივრები და პრეტენზიები, იმის შესახებ რომ საარჩევნო კომისიებს აკლდა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ან ის, რომ მათ წარმომადგენლებს უკანონოდ შეუშალეს ხელი მათი ადმინისტრაციული მოვალეობების სათანადოდ შესრულებისას. რაც შეეხება, თვითონ საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, მთავრობამ საზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს ამ მიმართულებით განსაკუთრებით მაღალი შეფასება ჰქონდა.

2. მომჩივანი პარტიის არგუმენტები

97. მომჩივანი მხარისათვის ცნობილია, რომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით არსებული სადაო დებულებები, სადაც საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს ცესკოს 15 წევრიდან ხუთი, მიღებულ იქნა 2003 წ. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ. მიუხედავად ამისა, 2003 წ. 28 ნოემბერს მიღებული იქნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შესწორება, ანუ ვარდების რევოლუციის შემდეგ მალევე და განსაკუთრებით 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნებისათვის, რომლის მიხედვითაც ცესკოს თავმჯდომარეს აგრეთვე ნიშნავდა პრეზიდენტი. ამრიგად პრეზიდენტს მიენიჭა უფლებამოსილება ცესკოში წარედგინა 15 წევრიდან 6 წევრის კანდიდატი, მათ შორის თავმჯდომარის კანდიდატურა, მაშინ როცა კიდევ 2 წევრი იყო პრეზიდენტის მხარდამჭერი პარტიის წარმომადგენელი. უფრო მეტიც, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა იდენტური იყო ცესკოსი.

98. მომჩივანი პარტიის აზრით, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება ყველა დონეზე, ქმნიდა საარჩევნო გაყალბების შესაძლებლობებს. მომჩივანი მხარე ამტკიცებდა, რომ მისი წარმომადგენლები დააშინეს და მითითებებს აძლევდნენ, რომ არ დაეწერათ საჩივრები აღმოჩენილი დარღვევების შესახებ, კერძოდ კი როცა მათ სასარგებლოდ მიცემული ხმები საარჩევნო კომისიების საპრეზიდენტო უმრავლესობის მიერ მითვისებული იყო საპრეზიდენტო პარტიის სასარგებლოდ. დარღვევების სხვა მაგალითები მოცემულია საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის 2004 წ. 28 მარტის ანგარიშში. (პარაგრაფი 50 ზემოთ).

99. განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო კომისიების შემადგენლობა, მომჩივანი პარტიის მოსაზრებით, არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და ამგვარად ირღვეოდა №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი.

3. სასამართლოს შეფასება

100. სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ აუცილებელი იყო იმ სამოქალაქო მოხელეების, მოსამართლეებისა და სახელმწიფო სამსახურში მყოფი სხვა პირების მხრიდან, რომლებიც სარგებლობდნენ საჯარო უფლებამოსილებით, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, რათა უზრუნველყოფილიყო, რომ ყველა მოქალაქეს მოპყრობოდნენ თანასწორად და სამართლიანად (იხ. საქმეები: რეკვენი უნგრეთის წინააღმდეგ [ჩ], №. 25390/94, §§ 41 და 46, ჩ ღ 1999 III; ბრაიკი ლატვიის წინააღმდეგ (დეც.), № 47135/99, 29 ივნისი, 2000; ვოგტი გერმანიის წინააღმდეგ, 1995 26 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილება, სერია A № 323, გვ. 28 29, § 58).

101. როგორც ზემოაღნიშნული პრინციპის დამატება და იმის აღნიშვნა, რომ №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიის დამყარებისთვის და შენარჩუნებისთვის (იხ. მათიუ-მოჰინი და კლერფაიტი ბელგიის წინააღმდეგ, 1987 წ. 2 მარტის სასამართლოს გადაწყვეტილება, სერია , № 113, გვ. 22, § 47), სასამართლოს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურამ იმუშაოს გამჭვირვალედ და შეინარჩუნოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა ყოველგვარი პოლიტიკური მანიპულაციებისგან

102. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი პარტიის საჩივარი ძირითადად ეფუძნება არგუმენტებს, რომ საარჩევნო კომისიების შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი იწვევს №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევას.

103. მას შემდეგ, რაც განხილულ იქნა ხელშეკრულებაში მონაწილე რამდენიმე სახელმწიფოს შესაბამისი საარჩევნო კანონმდებლობა, სასამართლომ დაასკვნა, რომ ევროპაში არ არსებობს საარჩევნო ადმინისტრაციული ორგანოების შემადგენლობის და ფუნქციონირების ერთნაირი სისტემა (პარაგრაფები 58-69 ზემოთ). ამ მიმართულებით არსებობს შესაძლო ვარიანტების მრავალფეროვნება. ეს ვარიანტები შეესაბამება იმ ისტორიულ და პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც ახასიათებს თითოეულ ქვეყანას. სასამართლო ამიტომაც მიიჩნევს, რომ ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ სფეროში მაღალი შეფასება საარჩევნო ადმინისტრაციების ორგანიზების კუთხით, რადგანაც არჩეული სისტემა უზრუნველყოფს „აზრის თავისუფლად გამოხატვას საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას“ (იხ. მუტატის მუტანდის, პოკოლზინა ლატვიის წინააღმდეგ, # 46726/99, § 33, ECHR 2002 II).

104. თუმცა, მაშინ როცა ვსაუბრობთ მოპასუხე სახელმწიფოს დამოუკიდებლობაზე საარჩევნო ადმინისტრირების პროცესში, სასამართლომ უნდა დაადგინოს, ადგილი ჰქონდა თუ არა საარჩევნო კომისიების მხრიდან ისეთ ქმედებებს, რითაც ირღვეოდა მომჩივანი პარტიის უფლება მონაწილეობა მიეღო 2004 წ. 28 მარტის განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში. ყველაფერი ამის შემდეგ, სასამართლომ საბოლოო მოსხენებაში უნდა დაადგინოს დაცული იყო თუ არა №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მოთხოვნები (იხ. მათიუ-მოჰინი და კლერფაიტი, ზემოთ აღნიშნული, გვ. 22-23, §52).

105. სასამართლო აღნიშნავს, რომ საარჩევნო კოდექსის 128-ე, 128 (1) და 128 (2) მუხლების მიხედვით, საარჩევნო კომისიების ყველა დონეზე 15 წევრიდან 5 წევრი, ისევე როგორც თავმჯდომარეები, პირდაპირ ან ირიბად ინიშნებოდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ. გარდა ამისა, 128-ე მუხლის მე-5 პარაგრაფის მიხედვით, სულ მცირე ერთი წევრი ამ საარჩევნო კომისიებში იყო პრეზიდენტის პარტიის, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, რადგან ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა თბილისის ადგილობრივ არჩევნებში 2002 წელს (§§ 22 ზემოთ). პრეზიდენტის მხარდამჭერ ძალებს ამგვარად ჰქონდათ უმრავლესობა საარჩევნო კომისიების ყველა დონეზე.

106. მიუხედავად იმისა, რომ არ შეიძლება არსებობდეს იდეალური და ერთნაირი სისტემა, რომელიც ბალანსის არსებობის გარანტიას შექმნის საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოში წარმოდგენილ სხვადასხვა სახელმწიფო ძალებს შორის, სასამართლოს მიაჩნია, რომ საარჩევნო კომისიებში 15 წევრიდან 7 წევრი, მათ შორის თავმჯდომარე, რომელსაც გააჩნია გადამწყვეტი ხმის უფლება (საარჩევნო კოდექსის 22§8 მუხლი) ინიშნება საქართველოს პრეზიდენტის და მისი პარტიის მიერ, რაც განსაკუთრებით მაღალი რაოდენობაა ევროპის ქვეყნებში არსებულ იურიდიულ წესებთან შედარებით. (იხ. ამ კუთხით ვენეციის კომისიის შეფასება, §48 ზემოთ).

107. გარდა ამისა, რადგან საპრეზიდენტო პარტია – ნაციონალური მოძრაობა, იმავდროულად მონაწილეობას იღებდა განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში, სასამართლოს არ მიაჩნია წარმოდგენილად და შეუძლებლად, რომ არჩევნებში მონაწილე სხვა კანდიდატი პარტიები, მათ შორის მომჩივანი პარტია, შესაძლოა საარჩევნო ადმინისტრაციაში საპრეზიდენტო უმრავლესობის მხრიდან აღმოჩნდნენ არადამაკმაყოფილებლ მდგომარეობაში. მთავრობის არგუმენტი, რომ მას შემდეგ რაც საარჩევნო კომისიაში დაინიშნება წარმოდგენილი კანდიდატი, მან უნდა დატოვოს შესაბამისი პოლიტიკური პარტია ან შეუჩერდეს წევრობა, ამ მხრივ დამაჯერებელი არ არის. სასამართლოს არ მიაჩნია, რომ საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენელი, რომელიც წარმოადგინა ამ პარტიამ კანდიდატად, იმის გამო, რომ მას ჰქონდა ლოიალური დამოკიდებულება ამ პარტიის ღირებულებებთან და დისციპლინასთან მიმართებაში, აუციელებლად და დაუყოვნებლივ უნდა გახდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სახელმწიფო მოხელე.

108. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე სახელმწიფოში არსებული საარჩევნო კომისიების სისტემისგან განსხვავებით, ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოების სისტემებში არსებობს სხვადასხვა ფორმით გარანტიები საარჩევნო კომისიებში იმ პირების დანიშვნის წინააღმდეგ, რომლებიც შესაძლოა ჩაერთონ მემკვიდრეობით გადმოცემულ ინტერესთა კონფლიქტში. უფრო მეტიც, უნგრეთში, მოლდოვაში, დიდ ბრიტანეთში, ბულგარეთსა და სერბეთში, ეს შეუთავსებლობის მოთხოვნა პირდაპირ უკავშირდება პოლიტიკურ პარტიების წევრებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც არჩევნებში წარმოდგენენ კანდიდატებს. ბულგარეთსა და სერბეთში, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ან კოალიციას არ გააჩნია უმრავლესობა საარჩევნო ადმინისტრაციაში. მსგავსი წესები უზრუნველყოფს საარჩევნო სტრუქტურების დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას (§§ 68-69 ზემოთ). საბოლოოდ, საარჩევნო კომისიების არსი და მიზანი არის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მიუკერძოებლად

ჩატარების უზრუნველყოფა; სასამართლოს მიაჩნია, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია, თუ კომისია გახდება საარჩევნო კანდიდატებს შორის პოლიტიკური ბრძოლების არენად.

109. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი პარტიამ არ წარმოადგინა არანაირი მტკიცებულება, რომ საარჩევნო კომისიებში პრეზიდენტის უმრავლესობა ხმებს თავიანთ სასარგებლოდ ითვისებდნენ ან ზღუდავდნენ მის უფლებებს და ლეგიტიმურ ინტერესებს განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების პერიოდში. სასამართლოს მოსაზრებით, მომჩივანი მხარის აპელირება 2004 წ. 28 მარტის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშზე არასაკმარისია. ამ ანგარიშში გაკრიტიკებულია საარჩევნო კომისიებში არსებული არასაკმარისი პოლიტიკური ბალანსი და აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ინსტანციები არასათანადოდ ფუნქციონირებდნენ (პარაგრაფი 50 ზემოთ). მიუხედავად ამისა, არსად არის ნახსენები, რომ განმხცადებელი პარტიის უფლებები და ინტერესები პირდაპირ იყო შეზღუდული საარჩევნო კომისიების ქმედებებითა და უზუსტობებით. სასამართლომ ვერ აღმოაჩინა №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა მხოლოდ ამ საჩივრის საფუძველზე; არ აქვს მნიშვნელობა რამდენად დამაჯერებლად ჟღერს ის ფაქტი, რომ სისტემამ შექმნა საარჩევნო გაყალბების შესაძლებლობები, მომჩივანი პარტიას უნდა წარმოედგინა აღნიშნული დარღვევების სპეციფიკური მტკიცებულებები.

110. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ საარჩევნო კომისიების სადაო დაკომპლექტების საკითხი ყველა დონეზე მართლაც საჭიროებდა გადამოწმებებს და დაბალანსებას, პრეზიდენტის ძალაუფლების საწინააღმდეგოდ, და ეს კომისიები არ იყვნენ სრულად დამოუკიდებელი პოლიტიკური ზეწოლებისგან. მიუხედავად ამისა, არ არსებობს უფლებამოსილების გადაჭარბების განსაკუთრებული აქტების ან მომჩივანი პარტიის წინააღმდეგ საარჩევნო კომისიებში ჩადენილი საარჩევნო გაყალბებების დამატკიცებელი მასალა, არ დადასტურდა ამ უკანასკნელის არჩევნებში მონაწილეობის უფლების დარღვევის ფაქტი.

111. შესაბამისად ადგილი არ ჰქონდა №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევას.

დ. ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქების ხმების გარეშე მთელი ქვეყნის მაშტაბით ჩატარებული არჩევნების შედეგების დათვლა

1. მთავრობის არგუმენტები

112. მთავრობამ საჩივარა, რომ ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში, აჭარის ხელისუფლებამ გააყალბა 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების შედეგები. შესაბამისად, 2004 წ. 2 აპრილს ცესკომ გააუქმა ამ ოლქების არჩევნების შედეგები, უფლებამოსილება შეუწყვიტა შესაბამის საარჩევნო კომისიებს და გააგზავნა საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ჯგუფები, იმისათვის რომ

ჩაეტარებინათ ახალი არჩევნები აჭარაში 2004 წ. 18 აპრილს. თუმცა, აჭარის ხელისუფლებამ ამ ჯგუფს არ მისცა საშუალება გადაეკვეთა ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვარი, რის შედეგადაც საარჩევნო უბნები ვერ გაიხსნა.

113. მთავრობა აცხადებდა, რომ დაძაბულობა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის იმ დროს გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში „შეიარაღებულ კრიმინალებთან“, რომლებიც ა. აბაშიძეს ემსახურებოდნენ [ადგილობრივი ხელისუფლების მეთაური]. ამგვარად, გ. ჩალაგაშვილი, მთავრობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სასამართლოს წინაშე საჩივარა, რომ იგი, როგორც ცესკოს მიერ ხულოსა და ქობულეთში 2004 წ. 18 აპრილს არჩევნების ორგანიზებისათვის გაგზავნილი ჯგუფის წევრი, თვითონ შეესწრო როგორ გაუხსნა ასობით შეიარაღებულმა ადამიანმა ცეცხლი მათ ჯგუფს ადმინისტრაციულ საზღვარზე. მთავრობის განცხადებით, ეს პირები მოგვიანებით გასამართლდნენ არჩევნების პროცესისთვის ხელშეშლის ბრალდებით. მიუხედავად ამისა, მათ არ წარმოუდგენიათ სასამართლო გადაწყვეტილების ასლი ან სხვა მასალა, რომელიც უკავშირდება შესაბამის კრიმინალურ საქმეებს. რაც შეეხება ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის დაძაბული ურთიერთობების დამადასტურებელ მტკიცებულებას, მთავრობამ მოიშველია საქმის გარემოებები ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ ([GC], №. 71503/01, ECHR 2004 II).

114. მთავრობამ ასევე თხოვნით მიმართა სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღება მიექცია საქართველოში იმ დროს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე. მათ საჩივარეს, რომ რადგან 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პარლამენტმა თითქმის შეაჩერა მუშაობა, ქვეყნის მასშტაბით არჩევნების შედეგების გამოქვეყნების ნებისმიერი სახის დაყოვნება გამოიწვევდა საზოგადოებრივ უწყესრიგობას და ქვეყანას კანონიერი პროცესების კოლაპსამდე მიიყვანდა. 2004 წ. 18 აპრილს საბოლოო არჩევნების შედეგების არ გამოცხადებით კი დაირღვეოდა არჩევნების ჩატარების პრინციპი „გონივრულ ვადებში“, №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით.

115. მთავრობა შემდგომში ამტკიცებდა, რომ აჭარის ორ ოლქში ხმის უფლება ჩამორთმეული მოსახლეობის ხმები შეიძლება ჩათვლილიყო „ჰაერში გასროლილ ხმებად“, ამ ფენომენის თავიდან აცილება შეუძლებელია ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში. მათ მიაჩნიათ, რომ ელექტორატის გარკვეული ნაწილის გამოთიშვა არჩევნებიდან, “მაშინაც კი როცა ეს ნაწილი შეიძლება შეადგენდეს რამდენიმე მილიონ ამომრჩეველს”, არ ქმნის საზოგადოებაში პოლიტიკური ალტერნატივების დეფიციტს და ამგვარად ადგილი არ აქვს სახელმწიფოს დემოკრატიულ პროცესების შეფერხებას. უფრო მეტიც, მთავრობის განცხადებით, განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები კანონიერად შეიძლება ჩაითვალოს შემდგომად, ხულოსა და ქობულეთის ამომრჩეველთა ხმების გარეშე, რადგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მესამედზე მეტმა (საარჩევნო კოდექცი 105-ე მუხლი §3). ჩალაგაშვილი, როგორც ცესკოს თავმჯდომარე შემდგომში აღნიშნავდა, რომ რადგან ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქების გამოთიშვა ხმების დათვლის პროცესიდან იყო კანონიერი, არ არსებობდა მთავრობის მხრიდან იმის

საჭიროება, რომ სასამართლოსთვის წარმოედგინა ამ გადაწყვეტილების გამართლების რაიმე განსაკუთრებული მტკიცებულება

116. მთავრობა აღნიშნავდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მომჩივანი პარტია ვერ დაასაბუთებდა პრეტენზიას იმის შესახებ, რომ ის მიიღებდა საკმარის ხმებს ამ უბნებიდან, იმისათვის რომ გადაეღებინა 7%-იანი ბარიერი. შესაბამისი სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მთავრობა აცხადებს, რომ 2003 წ. 2 ნოემბერს და 2004 წ. 28 მარტს გამართულ არჩევნებში, მომჩივანი პარტიამ მიიღო მხოლოდ 703 და 600 ხმა აჭარის აღნიშნული ორი ოლქიდან. შესაბამისად დაუჯერებელი იყო, რომ მომჩივანი პარტია მიიღებდა 16.000-ზე მეტ ხმას – რაოდენობა, რომელიც საჭირო იყო 7%-იანი საარჩევნო ბარიერის გადასალახად – 2004 წ. 18 აპრილის არჩევნებში.

2. მომჩივანი პარტიის არგუმენტები

117. გამცხადებელმა პარტიამ საპასუხოდ საჩივარა, რომ საარჩევნო კოდექსის 105-ე მუხლის §3 არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მოხდეს არჩევნების ხმის უფლების ჩამორთმევის გამართლება, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებული ამომრჩევლების მესამედზე მეტმა. მომჩივანი პარტია აღნიშნავს, რომ 2004 წ. 6 მაისს, მას შემდეგ რაც ადგილობრივი ხელისუფლება შეიცვალა და აჭარის რეგიონზე სრული კონტროლი აღდგა, არაფერი უშლიდა ხელს ცენტრალურ ხელისუფლებას ჩაეტარებინა განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები ხულოსა და ქობულეთში. მომჩივანი პარტიის განცხადებით, ამ ორ რეგიონში ამომრჩევლებს წაართვეს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა, თავისუფალი არჩევანის უფლება, რომელიც გარანტირებული №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით. ამ ფაქტით არა მხოლოდ ირღვეოდა საყოველთაო საარჩევნო უფლება, არამედ აგრეთვე ირღვეოდა მომჩივანი პარტიის უფლება კენჭი ეყარა არჩევნებში.

3. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი მოსაზრებები

118. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2004 წ. 28 მარტს ჩატარებული განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების მთელი ქვეყნის მასშტაბით საბოლოო შედეგების გამოქვეყნება მოხდა 2004 წ. 18 აპრილს, ისე რომ არჩევნები არ ჩატარებულა აჭარის ა/რ ორ ძირითად საარჩევნო ოლქში, რის შედეგადაც, დაახლოებით 60.000 რეგისტრირებულმა ამომრჩეველმა ვერ შეძლო ხმის მიცემა ამ ოლქებში. ეს რაოდენობა წარმოადგენდა დაახლოებით მთელს ქვეყანაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა დაახლოებით 2,5% (§§ 26, 28 და 38 ზემოთ).

119. სასამართლოს მიაჩნია, რომ ის, რომ ხულოსა და ქობულეთის ამომრჩევლებმა ვერ მიიღეს მონაწილეობა პროპორციული სისტემით შემდგარ განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში წარმოადგენს საყოველთაო საარჩევნო სამართლის პრინციპის საკითხს. ამ კუთხით სასამართლო აღნიშნავს, რომ მთლიანი მოსახლეობის ნებისმიერი ჯგუფის ან კატეგორიის გამოთიშვა

დაუშვებელია №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის პრინციპების მიხედვით, მათ შორის საყოველთაო საარჩევნო კანონმდებლობით (იხ. *mutatis mutandis*, aziz, ზემოთ, § 28) გაუმართლებელი გადახვევა აღნიშნული პრინციპიდან საფრთხეს უქმნის არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს დემოკრატიულობას და იმ კანონებს, რომელსაც იგი შეიმუშავებს. (იხ. პირსტი, ზემოთ, §62).

120. სასამართლო ვერ დაეყრდნობა მთავრობის არგუმენტს, რომ მომჩივანი პარტიამ ვერ დაასაბუთა, რომ მას ხულოსა და ქობულეთის ოლქებში შეეძლო საკმარისი რაოდენობის ხმების მიღება, იმისათვის, რომ გადაეღახა 7%-იანი ბარიერი. სასამართლოს მიაჩნია, რომ განზრახვა იმის შესახებ, რომ ხმა მისცეს რომელიმე პარტიას წარმოადგენს ამომრჩევლის შეხედულებას და არ შეიძლება ის იყო დადასტურებული ან პირიქით, სანამ ან თუკი არ განხორციელდება ხმის მიცემის აქტი (იხ. რუსეთის მრეწველთა და სხვათა კონსერვატიული პარტია, ზემოთ §76). რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომ მომჩივანი პარტია არ იყო პოპულარული კანდიდატი აჭარის მოსახლეობაში წინა ორი არჩევნების პერიოდში, სასამართლოს მიაჩნია, რომ ამომრჩეველთა დამოკიდებულება არ არის მუდმივი, ის შეიძლება შეიცვალოს, იმ პოლიტიკური მოვლენების შესაბამისად რომელსაც ადგილი აქვს ან საარჩევნო კამპანიების საფუძველზე. ამომრჩეველთა გადაწყვეტილებების უცაბედი ცვლილება საკამოდ კარგად დოკუმენტირებული პოლიტიკური და სოციალური ფენომენია.

121. ნებისმიერ შემთხვევაში, წარმოდგენილ საქმეში განიხილება არა მომჩივანი პარტიის მიერ განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში შესაძლო გამარჯვება, არამედ უფლება თავისუფლად და ეფექტურად მიეღო მონაწილეობა არჩევნებში. №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის საფუძველზე, მომჩივან პარტიას ჰქონდა უფლება დაეყრდნობოდა ხულოსა და ქობულეთის ელექტორატს, განურჩევლად შანსებისა, მიიღებდა თუ არა ის ხმების უმრავლესობას აღნიშნულ ოლქებში (იხ. აგრეთვე §§ 73 და 74 ზემოთ). ამომრჩევლებისათვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევამ, განსაკუთრებით თუ ეს წარმოადგენს საარბიტრაჟო აქტს, შესაძლოა ხელი შეუშალოს საარჩევნო სუბიექტს არჩევნებში მონაწილეობის უფლებით სარგებლობაში.

122. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის მოსაზრებას, რომ ხულოსა და ქობულეთის ხმის მიცემის უფლება ჩამორთმეული ელექტორატის ხმები შესაძლოა ჩაითვალოს “ჰაერში გაფანტულ ხმებად”. ეს უკანასკნელი ტერმინი გულისხმობს, რომ მაშინ როცა ყველა მოქალაქეს გააჩნია თანაბარი შანსი მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში ნებისმიერი საარჩევნო სისტემის მიხედვით, ვერც ერთი საარჩევნო სისტემა ვერ იძლევა გარანტიას, რომ ყველა ხმას აუცილებლად თანაბარი წონა ექნება არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით. (იხ. ბომპარდი საფრანგეთის წინააღმდეგ № 44081/02, ჩ დ 2006 ...). წარმოდგენილ საქმეში, პირიქით ყველა მოქალაქის თანაბრად მოპყრობის პრინციპის არსი განიხილება. ლოგიკურად, არ შეიძლება ვიდაოთ “ჰაერში გასროლილი ხმების” ლეგიტიმურობაზე, მაშინ, როცა ხმის მიცემის პროცესს ადგილი არ ჰქონია.

123. მთავრობა შეცდა, როცა ამტკიცებდა, რომ რადგან ხულოსა და ქობულეთის ამომრჩევლებისათვის ხმის უფლების ჩამორთმევა შეესაბამებოდა ადგილობრივ კანონმდებლობას, არ იყო საჭიროება იმისა, რომ მომხდარიყო სასამართლოს წინაშე აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება. (§115 ზემოთ)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოს საკმაოდ მაღალი შეფასება აქვს არჩევნების ჩატარების კუთხით, სასამართლომ უნდა დაადგინოს ადგილი ჰქონდა თუ არა №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მოთხოვნების დარღვევას. (იხ. მათიუ-მოპინ, ზემოთ აღნიშნული, §52). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაშინ როცა ეს არ არის მხოლოდ ერთადერთი ინსტანცია, შემთხვევა, რომელიც განიხილება, რომელიც ზღუდავს ხმის მიცემას ან არჩევნებში კენჭისყრის უფლებას, არამედ როცა სახელმწიფო ვერ ახერხებს დაბრკოლებების აღმოფხვრას, იმისათვის რომ შენარჩუნებულ იქნას ინტეგრირებული და ეფექტური საარჩევნო პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის აზრის დადგენას საყოველთაო საარჩევნო უფლებით (ჰისრტი, აღნიშნულია ზემოთ, §62).

124. რაც შეეხება სასამართლოს მიერ ხმის უფლების ჩამორთმევის შესახებ წარმოდგენილი საჩივრის განხილვას, №1 დამატებითი ოქმი მე-3 მუხლი, სასამართლომ ძირითადად ყურადღება უნდა გაამახვილოს, ადგილი ჰქონდა თუ არა ტირანიას ან პროპორციულობის დეფიციტს შეზღუდვასა და მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებულ ლეგიტიმურ მიზანს შორის. № 1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით კონცეფცია “შეზღუდვები” გულისხმობს, რომ მოპასუხე სახელმწიფო ყოველთვის თავისუფალია და შეუძლია დაეყრდნოს ნებისმიერ ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც დასტურდება რომ შესაბამისობაში მოდის, საქმის განსაკუთრებულ გარემოებებში, კანონის უზენაესობის პრინციპთან და კონვენციის საყოველთაო მიზნებთან. (იხ. ზდანოკა, აღნიშნულია ზემოთ, § 115).

125. სასამართლომ შესაბამისად უნდა განიხილოს, წარმოდგენილ საქმეში, სახელმწიფო ხელისუფლებამ გააკეთა თუ არა ყველაფერი, რაც გონივრულად მოსალოდნელი იყო რომ გაეკეთებინა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილიყო განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში ხულოსა და ქობულეთის ამომრჩეველთა მონაწილეობა, სანამ საბოლოო ხმების გადათვლა მოხდებოდა. მომჩივანი პარტიის არგუმენტი, რომ მოპასუხე სახელმწიფოს შეეძლო არჩევნების ჩატარება ამ ოლქებში 2004 წ. 18 აპრილის შემდეგ, მას შემდეგ რაც მოხდა ხმების საბოლოო გადათვლა, ამ მხრივ ირელევანტურია, რადგან საარჩევნო კოდექსის არც 106-ე მუხლი და არც რომელიმე სხვა ითვალისწინებს შუალედური ან სხვა ტიპის არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას პროპორციული სისტემით, მას შემდეგ რაც ცესკო გამოაცხადებს მთელი ქვეყნის მასშტაბით არჩევნების საბოლოო შედეგებს (§44 ზემოთ).

(ბ) 2004 წ. 2 აპრილს ხულოსა და ქობულეთში არჩევნების შედეგების გაუქმება

126. სასამართლომ მიაჩნია, რომ ხულოსა და ქობულეთის ელექტორატის გამოთიშვა განმეორებითი საპარლამენტო არჩევნებიდან არ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოს ცესკოს მიერ 2004 წ. 18 აპრილს გამოქვეყნებული საბოლოო ხმების რაოდენობის შედეგია. ეს უფრო გამომდინარეობს ცესკოს 2004 წ. 2 აპრილის ბრძანებულებით, რომლის მიხედვით მოხდა ამ ორი საარჩევნო ოლქის შედეგების გაუქმება. (§26 ზემოთ). შესაბამისად, როცა ამ მოსახლეობის ხმის მიცემის

უფლების ჩამორთმევის საკითხს განვიხილავთ, სასამართლოს არ შეუძლია უგულვებელყოს ის ფორმა, რომლითაც ცესკომ აღნიშნული ბრძანებულება მიიღო. ამ მხრივ, სასამართლო დაეყრდნობა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის 2004 წ. 28 მარტის ანგარიშს, რომელიც მთავრობის მიერ წარმოდგენილია, როგორც მათი არგუმენტი, რომელიც ასევე დამტკიცებულია მომჩივანი მხარის მიერ, როგორც მტკიცებულება (§§ 50 და 98 ზემოთ).

127. იმ მოსაზრებებთან ერთად, რომელიც მოცემულია აღნიშნულ მოხსენებაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ცესკოს გადაწყვეტილების კანონიერება, გაუქმებინა ხულოსა და ქობულეთის არჩევნების შედეგები სადაოა. (პარაგრაფი 53 ზემოთ). მაშინ, როცა ის ეფუძნებოდა საარჩევნო კოდექსის 105-ე მუხლის §§13 და 12, ეს უკანასკნელი დებულებები არ აძლევდა ცესკოს იმის უფლებამოსილებას, რომ გაუქმებინა საარჩევნო ოლქებში შედეგები. ამ დებულებებით უფრო განმარტებულია ის პირობები, რომელშიც ცესკოს შეუძლია გამოიყენოს უფლება და ორგანიზება გაუკეთოს განმეორებით არჩევნებს და აწარმოოს სხვადასხვა საგამომძიებლო ღონისძიებები საარჩევნო საჩივრების საპასუხოდ (პარაგრაფი 44 ზემოთ). ცესკოს თავმჯდომარის აზრი ამ მხრივ ძალზედ მნიშვნელოვანია. 2004 წ. 28 მარტის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშის მიხედვით (§53 ზემოთ):

“არჩევნების დღემდე, საარჩევნო სადამკვირვებლო მისია ეცადა ცესკოს თავმჯდომარესთან გაერკვია, ჰქონდა თუ არა ცესკოს იმის უფლებამოსილება, რომ გაუქმებინა საოლქო საარჩევნო კომისიის შედეგები. ამ საუბრის დროს, მან აღნიშნა, რომ ეს მართლაც სადაო საკითხი იყო. მაშინ როცა საარჩევნო კოდექსის 105-ე მუხლის §13 უფლებას ანიჭებს ცესკოს განიხილოს საუბნო საარჩევნო კომისიის დოკუმენტაცია, ხელმეორედ გადათვალოს ხმები და შეაჯამოს შედეგები საუბნო საარჩევნო კომისიის პროტოკოლებზე დაყრდნობით, საარჩევნო კოდექსი ცესკოს არ ანიჭებს უფლებამოსილებას გააუქმოს შედეგები მთელს ოლქში.”

128. სასამართლო განსაკუთრებით შემოფოთებულია იმ ფაქტით, რომ ცესკომ გააუქმა ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქების შედეგები, ისე რომ არ მომხდარა მოწმეთა ჩვენებების მოსმენა, თითოეულ უბანზე გარემოებების გამოძიება ან იმის დადგენა იყო თუ არა საკმარისი რაოდენობა ხმებისა გაუქმებულ საარჩევნო უბნებზე, რომ დაეკმაყოფილებინა საარჩევნო კოდექსის 105-ე მუხლის §12-ში აღნიშნული კრიტერიუმები. ცესკოს არ განუხილავს საარჩევნო მასალები. სხვაგან, სადაც შედეგები გაუქმდა, ეს მოხდა საოლქო საარჩევნო კომისიების ან ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებით, როგორც კანონით არის განსაზღვრული (საარჩევნო კოდექსის მუხლები 34 § 2 (ფ), 61 § 5, 62 და 63 §§ 1 და 4 და §§50 და 53).

129. ეს სასამართლოს საშუალებას აძლევს დაასკვნას, რომ ხულოსა და ქობულეთში არჩევნების შედეგების გაუქმებით, ცესკომ არა მხოლოდ გადააჭარბა უფლებამოსილებას, არამედ აგრეთვე მოქმედებდა ისეთი ფორმით, რომ გამორიცხა შესაძებლობა ჩატარებულიყო კანონიერი საგამომძიებლო ღონისძიებები.

130. სასამართლოს ეჭვი არ შეაქვს მთავრობის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებში, რომ ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო უბნებზე ადგილი ჰქონდა დარღვევებს. სასამართლოს შემოფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ცესკომ საარჩევნო ოლქების შედეგები გვერდზე გადადო, შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის ან სამართლებრივი პროცედურების გარეშე (იხ. მუტატის მუტანდის,

ბაბენკო უკრაინის წინამდებელი, სასამართლო გადაწყვეტილება №43476/98, 4 მაისი, 1999). ამ შედეგების გაუქმების და ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება არ შეესაბამება იმ ფაქტს, რომ სხვა უბნებში არც ერთი დარღვევა არ მოჰყოლია მთელი ოლქის შედეგების გაუქმება (პარაგრაფი 53, ზემოთ). სასამართლოსთვის ცნობილი არ არის ცესკოს განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან 2004 წ. 2 აპრილის ბრძანებულება სხვა მიზეზს არ მოიცავს გარდა “საარჩევნო დარღვევებისა”, რომელიც მოცემულია შესაბამის საარჩევნო საჩივრებში. არც მოპასუხე სახელმწიფოს განუმარტავს ის მიზეზები, რომლითაც ცესკომ თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიის საარჩევნო მასალების განხილვისა და მოწმეთა მოსმენის გარეშე, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხულოსა და ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მოწოდებული არჩევნების შედეგები გაუქმებულიყო. სასამართლო მიიჩნევს, რომ ცესკოს გადაწყვეტილება არ ჩაეტარებინა საგამომძიებო ღონისძიებები განსაზღვრული 105-ე მუხლის §13 – საარჩევნო ბიულეტენების გახსნა და ხელმეორედ გადათვლა – და გაეუქმებინა არჩევნების შედეგები მხოლოდ საარჩევნო დარღვევების გამო (პარაგრაფი 26 ზემოთ) ტირანიის ნიშნებს ატარებს.

(გ) ხულოსა და ქობულეთში განმეორებითი არჩევნების ვერ ჩატარება და 2004 წ. 18 აპრილს გამოქვეყნებული შედეგები

131. მთავრობის მთავარი არგუმენტი არის ის, რომ ხულოსა და ქობულეთში 2004 წ. 18 აპრილს არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი იყო აჭარის ხელისუფლება, ისევე როგორც რეგიონში დაძაბულობის ესკალაციაზე. (§§ 112-113 ზემოთ). მიუხედავად ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-15 მუხლის მიხედვით საქართველოს სახელმწიფოს არ უსარგებლია შეზღუდვების უფლებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული საგანგებო მდგომარეობის დროს. აღნიშნული საფუძველს აძლევს სასამართლოს დაასკვნას, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ შეეძლო №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით უარი განეცხადებინა საკუთარ ვალდებულებებზე.

132. გარდა ამისა, ასანიძის საქმეში, რომელიც თვითონ მთავრობამ მოიშველია, სასამართლოს გადაწყვეტილებით თვითონ საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება აღმოჩნდა პასუხისმგებელი, კონვენციის მიხედვით, აჭარის ხელისუფლების აღნიშნულ ქმედებაზე (ასანიძე, აღნიშნულია ზემოთ, §§ 144-150) შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ხულოსა და ქობულეთის ამომრჩეველთა მონაწილეობა განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში მთლიანად ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, მოპასუხე სახელმწიფოს არ შეუძლია გათავისუფლდეს თავის ვალდებულებებისგან №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით, რომელიც კავშირშია კონვენციის I მუხლთან. კონვენციის I მუხლით განსაზღვრული ვალდებულება სახელმწიფოსთვის მოიცავს და მოითხოვს ისეთი ეროვნული სისტემის განხორციელებას, რომლითაც შესაძლებელი იქნება კონვენციასთან

შესაბამისობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე, ყველასათვის (§147).

133. საქართველოში სახელმწიფო მანქანების გარკვეული ნაწილების არასწორი მუშაობა და ამის შედეგად ცენტრალურ და აჭარის ხელისუფლებას შორის ეფექტური სუბორდინაციის დეფიციტი, არ ნიშნავს იმას, რომ წარმოდგენილ საქმეში აღნიშნული დარღვევები საქართველოს იურისდიქციაში არ შედის. (§143). კერძოდ, სასამართლოს არ შეუძლია წარმოდგენილი მასალებიდან განასხვავოს იმდროინდელი სიტუაცია აჭარის ა/რ-ში იმ პერიოდისგან, რომელიც აღწერილია ასანიძის საქმეში. სამწუხაროა, რომ არსებული დაძაბულობა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის გადაიზარდა შეიარაღებულ შეტაკებებში, მთავრობას არ განუმტკიცებია აღნიშნული ფაქტი რაიმე სახის დამატკიცებელი საბუთით (ოფიციალური მოხსენებები, ვიდეო მასალა, პრესაში პუბლიკაცია და ა.შ.). ამიტომაც სასამართლოს არ შეუძლია შეაფასოს კერძოდ ამ არგუმენტის მიშენელობა ან ზოგადად შესაბამისი ისტორიული მოვლენები. უფრო მეტიც, როცა გააკეთდა განცხადება, რომ იმ შეიარაღებულ პირებს, რომლებიც თავს დაესხნენ საარჩევნო ადმინისტრაციის ჯგუფს, ბრალი წარედგინათ საარჩევნო პროცესისთვის ხელშემშლის ბრალდებით (§113), მათი ბრალდებულობის შესაბამისი გადაწყვეტილების არანაირი ასლი მთავრობას არ წარმოუდგენია სასამართლოზე განსახილველად. წარმოდგენილი საქმე არ მოიცავს არანაირ მოხსენებას ან სამუშაო დოკუმენტს საარჩევნო ჯგუფის მიერ შედგენილს, რომლითაც ნათელი იქნებოდა აჭარის ა/რ ადმინისტრაციულ საზღვარზე განვითარებულ მოვლენებში პასუხისმგებლობა.

134. ერთადერთი მტკიცებულება სასამართლოს წინაშე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, ცენტრალურ და აჭარის ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არსებული დაძაბულობის შესახებ, ეს არის 2004 წ. 28 მარტის საარჩევნო სადამკვირვებო მისიის ანგარიში. ამ ანგარიშში მოცემულია მაგალითები, თუ როგორ აშინებდა აჭარის ხელისუფლება ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი პრეზიდენტ სააკაშვილის მხარდამტკიცებებს, არ აძლევდა მათ საშუალებას თავისუფლად ჩაეტარებინათ საარჩევნო კამპანია რეგიონში. ასევე აღნიშნულია, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამის საპასუხოდ შემოიღო ეკონომიკური სანქციები აჭარის ა/რ წინააღმდეგ; გარკვეული სახის შეთანხმება იქნა მიღწეული პრეზიდენტ სააკაშვილსა და ა. აბაშიძეს შორის 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების წინ. რაც შეეხება 2004 წ. აპრილში განვითარებულ მოვლენებს, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია წარმოდგენილ საქმეში, ანგარიშში ნათქვამია: *“12 აპრილს, ცესკოს დროებითი ჯგუფები აჭარაში გაიგზავნა, მაგრამ მათ მალევე შეხვდათ აქტიური წინააღმდეგობა. 13-14 აპრილს, დროებითი ჯგუფებით იძულებულები იყვნენ დაეტოვებინათ აჭარის ტერიტორია.”*

135. იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებულ გარემოებებში ძნელი იქნებოდა საარჩევნო პროცესის ჩატარება აჭარაში, სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, მხოლოდ აღნიშნულ მოხსენებაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, რომ აჭარის ა/რ-ში 2004 წ. 18 აპრილის განმეორებითი არჩევნების დროს სიტუაცია განსხვავდებოდა *ასანიძის* საქმეში აღნიშნული სიტუაციისგან,

იმის გათვალისწინებით, რომ აჭარის ა/რ საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციაში შეიძლება არ ჩათვლილიყო.

136. საბოლოო ჯამში, მოპასუხე მთავრობის მიერ წარმოდგენილმა მტკიცებულებამ, რომ საქართველოს სახელმწიფო შესაძლოა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით, იმისათან დაკავშირებით, რომ 2004 წ. 18 აპრილს არჩევნები არ ჩატარდა ხულოსა და ქობულეთში, სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

137. აღნიშნული საქმის გარემოებებიდან ჩანს, რომ არსებული პოზიტიური ვალდებულებების საწინააღმდეგოდ, № 1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით, (იხ. ჰირსტი, ზემოთ, §57) მოპასუხე სახელმწიფოს არც უცდია შემგომში რაიმე ქმედებით, ხულოსა და ქობულეთის ამომრჩეველთა მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ არჩევნებში ჩართვა, მას შემდეგ რაც 2004 წ. 18 აპრილს არ გაიხსნა საარჩევნო უბნები. ამის საპირისპიროდ, ცესკომ უცებ გადაწყვიტა, იმავე დღეს, საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნება. საარჩევნო კოდექსის 64-ე მუხლის §1 ფონზე, რომელიც იძლევა 18 დღეს საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე, ასეთი სიჩქარე გაუგებარია (§ 44 ზემოთ).

138. №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით, არსებული შეზღუდვების კონცეფციის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია პრინციპში დაეთანხმოს მთავრობის არგუმენტს, რომ 2004 წ. 18 აპრილს არჩევნების შედეგების გამოქვეყნება ემსახურებოდა ლეგიტიმურ ინტერესს, რათა უზურუნველყოფილიყო ქვეყანაში ნორმალური საკანონმდებლო პროცესის განხორციელება (§144 ზემოთ). მიუხედავად ამისა, მთავრობას არ განუმარტავს, იმის მიზეზი თუ 1999 წ. მოწვევის დროებითი პარლამენტი, რომელიც მოწვეულ იქნა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ 2003 წ. ნოემბერში, სანამ ახალი პარლამენტი იქნებოდა არჩეული, (§14 ზემოთ), რატომ იყო უფუნქციო და რატომ არ შეეძლო, ემუშავა 2004 წ. 18 აპრილიდან შედეგების გამოქვეყნებამდე დარჩენილი მოკლე პერიოდის განმავლობაში.

139. მთავრობის მიერ წარმოდგენილი ამ გაუგებარი არგუმენტების ფონზე, სასამართლო, მხედველობაში იღებს რა საყოველთაო არჩევნების უფლების პრინციპის მნიშვნელობას, არ მიაჩნია ლეგიტიმურ ინტერესად ის ფაქტი, რომ იმისათვის რომ ახალი პარლამენტი არჩეულიყო “კონიურულ ვადებში”, ეს იყო საკმარისი გამართლება მოპასუხე სახელმწიფოს უუნარობისა და სურვილის არ ქონისა, განეხორციელებინა შესაბამისი ზომები, იმისათვის რომ 60.000 აჭარელ ამომრჩეველს ჰქონოდა ხმის მიცემის უფლება და საშუალება, მას შემდეგ, რაც 2004 წ. 18 აპრილს, საარჩევნო უბნები არ გაიხსნა რეგიონში.

140. ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ამის შემდეგ, ცესკოს არ გამოუცია არანაირი აქტი, რომლითაც მოხდებოდა 2004 წ. 2 აპრილის ბრძანებულების ანუღირება და ოფიციალურად გაუქმდებოდა ხულოსა და ქობულეთში განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები (იხ. §53 ზემოთ). სასამართლოს მიაჩნია, რომ საარჩევნო კოდექსის 105-ე მუხლის §3 ვერ შეცვლის ამ კუთხით ცესკოს ოფიციალურ გადაწყვეტილებას. იყო თუ არა მართლაც 2004 წ. 2 აპრილის ბრძანებულების განხორციელება შესაძლებელი, ის უფრო ბევრად შესაბამისობაში მოვიდოდა კანონის უზენაესობის ფუნდამენტურ პრინციპთან, რომ ცესკოს გაეუქმებინა ხულოსა და ქობულეთში დაგეგმილი არჩევნები

ნათელი და გასაგები ოფიციალური გადაწყვეტილების საფუძველზე, და წარმოედგინა საკმარისი და შესაბამისი დასაბუთება იმისა, რომ 60.000 ამომრჩეველს ჩამოართვეს ხმის მიცემის უფლება.

(დ) დასკვნა

141. ზემოხსენებული მოსაზრებების განხილვისას, სასამართლო ასკვნის, რომ ცესკოს 2004 წ. 2 აპრილის გადაწყვეტილება ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქების შედეგების გაუქმების შესახებ არ იქნა მიღებული გამჭვირვალედ და დასაბუთებულად. ცესკომ არ წარმოადგინა ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის საფუძვლიანი და საკმარისი მიზეზები, არც ძალაუფლების გადამეტების წინააღმდეგ წარმოუდგენია ადექვატური პროცედურული დასაბუთება. უფრო მეტიც, ყოველგვარი დამატებითი ღონისძიებების გარეშე, რომლებიც მიზნად ისახავდა ხულოსა და ქობულეთის ოლქებში არჩევნების ჩატარებას 2004 წ. 18 აპრილის შემდეგ, ცესკომ მიიღო ნაჩქარევი გადაწყვეტილება მთელი ქვეყნის მასშტაბით არჩევნების დასრულებასთან დაკავშირებით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. საერთო საარჩევნო პროცესიდან ამ ორი ოლქის გამოთიშვა ქმნიდა საკონფიდენციალურ ვაკუუმს, რასაც შედეგად მოჰყვა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის უკანონოდ ხმის უფლების ჩამორთმევა (იხ. *mutatis mutandis*, მათიუსი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ [GC], no. 24833/94, §§ 64-65, ECHR 1999 I).

142. იმის გამო, რომ ხულოსა და ქობულეთის ამომრჩევლებს უკანონოდ ჩამოერთვათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება შესაბამისად ადგილი ჰქონდა მომჩივანი პარტიის უფლებების დარღვევას, კენჭი ეყარა არჩევნებში, №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით.

II. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა

143. კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, მომჩივანი პარტია აცხადებს, რომ არასამართლიანი საარჩევნო პროცესების შედეგად, რომელიც გასაჩივრებულია №1 დამატებითი ოქმი მე-3 მუხლის მიხედვით, მათ ვერ შეძლეს პარლამენტში შესვლა და ამიტომაც პოლიტიკური შეხედულებების გამო მოხდა მათი დისკრიმინაცია. კონვენციის 14 მუხლის მიხედვით:

« ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა ».

144. სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-14 მუხლი ცალკე არ არსებობს, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონვენციის და პროტოკოლების სხვა დებულებებთან ერთად, რადგან ის იცავს მსგავს სიტუაციებში მყოფ

ინდივიდუალებს, ნებისმიერ სახის დისკრიმინაციისგან, მათი უფლებებით სარგებლობის პროცესში, რაც განსაზღვრულია არსებულ დებულებებში (იხ. უდგეონი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, სასამართლო გადაწყვეტილება 22 ოქტომბერი 1981, Series #. 45, გვ. 26, § 67, და *ჩასავნოუ და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ* [GC], №25088/94, 28331/95 and 28443/95, § 89, ECHR 1999 III).

145. არსებული მასალების განხილვისას, სასამართლომ ვერ აღმოაჩინა ვერანაირი მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ ან სადაო საარჩევნო მექანიზმა – ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემა და საარჩევნო კომისიების შემადგენლობა – ან მოვლენები, რომელიც განვითარდა ხულოსა და ქობულეთში, მიზანმიმართული იყო უშუალოდ მომჩივანი პარტიის წინააღმდეგ და არ დაზარალებდნენ არჩევნებში მონაწილე სხვა კანდიდატები.

146. ამიტომაც სასამართლო აღნიშნავს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან კავშირში.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

147. კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით:

“თუ სასამართლო აღმოაჩენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის ან პროტოკოლების დარღვევას, და თუ კონტრაქტში მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს მხოლოდ ნაწილობრივი კომპენსირება, სასამართლო საჭიროების შემთხვევაში დააკმაყოფილებს დაზარალებულ მხარეს.”

ა. მატერიალური ზიანი

148. მომჩივანი პარტია ითხოვდა 212,306.30 ევროს მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. მისი განცხადებით, ასეთი ოდენობის თანხით მოხდებოდა იმ ხარჯების კომპენსირება, რომელსაც ადგილი ჰქონდა საარჩევნო კამპანიების დროს დაგეგმილი და განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების დროს 2003–2004 წლებში. ამ თანხით ასევე მოხდებოდა იმ წევრებისათვის კომპენსირების გადახდა, რომლებსაც უნდა მიეღოთ ხელფასები, როგორც პარლამენტის წევრებს. და ბოლოს, ეს თანხა მოიცავდა ფინანსებს, რომელიც შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, პოლიტიკური ორგანიზაციების დაფინანსებასთან დაკავშირებით, უნდა გადაეხადათ მომჩივანი პარტიისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2007–2008 წლებში.

149. ამის საპასუხოდ, მთავრობამ აღნიშნა, რომ არ არსებობდა არანაირი მიზეზობრივი კავშირი მომჩივანი პარტიის პრეტენზიებსა და განცხადებულ დარღვევებს შორის.

150. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი პარტიის განცხადება ხარჯებთან დაკავშირებით, რომელიც გაწეულ იქნა 2003 წ. 2 ნოემბერს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების დროს ირელევანტურია, რადგან ამჯერად განიხილებოდა 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი არჩევნების გარემოებები. რაც შეეხება განმეორებით არჩევნებს, სასამართლო კვლავაც ადასტურებს, რომ წარმოდგენილი განცხადება შეეხებოდა მომჩივანი პარტიის უფლებას კენჭი ეყარა არჩევნებში და არა მის არჩევნებში გამარჯვებას (პარაგრაფი 21 ზემოთ). იმის განცხადება არ შეიძლება, რომ თუკი ხულოსა და ქობულეთის ელექტორატი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა, მომჩივანი პარტია აუცილებლად შევიდოდა პარლამენტში. ამიტომ სასამართლოსათვის შეუძლებელია იმაზე სპეკულირება, მომჩივანი პარტიის წევრები მიიღებდნენ თუ არა ხელფასებს, როგორც პარლამენტარები, ან, ის რომ ხარჯები გაწეული საარჩევნო კამპანიაზე უნდა ჩაითვალოს მატერიალურ ზარალად. ბოლოს, სასამართლო ვერ ხედავს კავშირს 2007-2008 წლებში სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური პარტიის არ დაფინანსებასა და 2004 წ. 28 მარტის განმეორებით არჩევნებთან დაკავშირებულ დარღვევას შორის.

151. საბოლოო ჯამში, სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე კავშირი წარმოდგენილ საქმეში აღმოჩენილ დარღვევასა და განცხადებულ მატერიალურ ზარალს შორის. შესაბამისად, მან არ დააკმაყოფილა მომჩივანი პარტიის პრეტენზია.

ბ. მორალური ზიანი

152. რაც შეეხება არამატერიალურ ზარალს, მომჩივანი პარტია ითხოვდა 2.000.000 ევროს. მომჩივანი მხარის განცხადებით, მათ პოლიტიკური შეხედულებების გამო გადაიტანეს დამცირება, მწვავე რეპრესია და დისკრიმინაცია. მომჩივანი პარტიის განცხადებით, ზემოაღნიშნული თანხა ასევე მოიცავდა იმ ზარალს, რომელიც მათ განიცადეს იმ ფაქტის გამო, რომ არ შეუშვეს პარლამენტში, ხელი შეუშალეს პოლიტიკურ საქმიანობაში და დემოკრატიის უფლებით სარგებლობაში.

153. მთავრობამ საჩივარა, რომ მომჩივანი პარტიამ ვერც ერთ ინსტანციაში ვერ დაამტკიცა პოლიტიკური შეხედულებების გამო განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტი.

154. სასამართლოს განცხადებით, მომჩივანი პარტიის პრეტენზია არამატერიალურ ზარალთან დაკავშირებით ძირითადად ეფუძნება დისკრიმინაციის ბრალდებებს და შესაბამისად ირელევანტურია იმ დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც აღმოჩენილია წარმოდგენილ საქმეში, №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით.

155. სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მომჩივანმა პარტიამ, როგორც იურიდიულმა პირმა (იხ. რუსეთის მრეწველთა და სხვათა კონსერვატიული პარტია, აღნიშნულია ზემოთ, § 102 და მოლდოვას კომერსანტი მოლდოვას წინააღმდეგ, №41827/02, § 52, 2007 წ. 9 იანვარი) განიცადა რაიმე სახის არამატერიალური ზიანი, იმის ხარჯზე, რომ ხულოსა და ქობულეთის ამომრჩევლებს ჩამოართვეს ხმის მიცემის უფლება. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ აღმოჩენილი დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე,

კერძოდ კი საყოველთაო საარჩევნო უფლებებიდან გადახვევა, საკმარისია იმისათვის, რომ მომჩივანი პარტია დაკმაყოფილდეს მისი არჩევნებში კენჭისყრის უფლების დარღვევის ფაქტის გამო, №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით.

გ. გაწეული ხარჯები და დანახარჯები

1. ადგილობრივი სამართალწარმოება

156. მომჩივანი პარტია ითხოვდა 1,832 ევროს, სასამართლო გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად, რასაც ადგილი ჰქონდა გაეწია ადგილობრივ დონეზე, სხვადასხვა საარჩევნო დავის სამართალწარმოებისას, ძირითადად ისეთ საქმეებში, რომელიც არ უკავშირდება არსებულ საქმეს. საჩივრის მხარდასაჭერად, მომჩივანი მხარემ წარმოადგინა უამრავი სასამართლო გადაწყვეტილებების ასლები, რის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო თანხის გადახდა.

157. მთავრობა აცხადებდა, რომ ზემოაღნიშნული საჩივარი იყო დაუსაბუთებელი.

158. სასამართლო კვლავაც აცხადებს, რომ იქ, სადაც აღმოჩენილ იქნა კონვენციის დარღვევა, შესაძლებელია მოხდეს მომჩივანი მხარის ხარჯების კომპენსირება, რასაც ადგილი ჰქონდა საკუთარი ქვეყნის სასამართლოებში, იმისათვის რომ ხელი შეეშალათ ან გამოესწორებინათ არსებული დარღვევა (იხ. სხვა ხელისუფლებებს შორის, პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ, no. 54210/00, § 115, ECHR 2002-VII).

159. აღნიშნულ საქმეში, აღმოჩენილი დარღვევა შეეხება ხულოსა და ქობულეთის ამომრჩევლებისათვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევას. როგორც საქმის გარემოებებიდან ჩანს, ერთადერთი სამართალწარმოება, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა ან გამოესწორებინა ეს დარღვევა, ეს იყო მომჩივანი პარტიის სარჩელის განხილვა უზენაეს სასამართლოში 2004 წ. 20 აპრილს (§§ 31 და 38). ამისათვის, არსებობს უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემული მხოლოდ ერთი ბრძანების მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც მომჩივანი პარტიას უნდა გადაეხადა 100 ქართული ლარი, სასამართლოს მოსაკრებელის სახით (დაახლოებით 43 ევრო).

160. საბოლოო ჯამში, სასამართლო მომჩივანი მხარის სასარგებლოდ აწესებს მხოლოდ 43 ევროს, რომელშიც არ შედის საჩივარში მოცემული დანარჩენი გადასახადები და ხარჯები გაწეული ადგილობრივ სამართალწარმოებისას.

2. ევროსასამართლოს წინაშე სამართალწარმოება

161. ჯ. რინკეანუმ სასამართლოს წარუდგინა 2007 წ. 28 აგვისტოს კონტრაქტი იურიდიული მომსახურების შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მის

მიერ და მომჩივანი პარტიის თავმჯდომარის შ. ნათელაშვილის მიერ. ამ კონტრაქტის პირობების მიხედვით, მომჩივანი მხარემ ქალ. რინკეანუს უნდა გადაუხადოს ხელმოწერის საფუძველზე 4.165 ევრო, თანხა რომელშიც შედის დღე 19% გერმანიის საგადასახადო კანონის მიხედვით, ადვოკატის მიერ განხორციელებული კლიენტის ინტერესებში არსებული ყველა ტიპის იურიდიული მომსახურებისათვის. ქალ. რინკეანუმ აგრეთვე წარმოადგინა 2007 წ. 3 სექტემბრით დათარიღებული ინვოისის ასლი, სადაც მომჩივანი მხარე მას მიმართავდა, რომ გადაუხდიდა მას 21.420 ევროს სასამართლოს წინაშე მისი წარდგენის სანაცვლოდ, რომელიც მოიცავდა 61.6 საათის სამუშაოს ამ საქმეზე, 300 ევრო საათში, შედის დღე 19%.

162. მთავრობამ აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ქალ. რინკეანუ მომჩივანი მხარეს წარმოადგენდა სასამართლოზე მცირე დროის პერიოდში, ეს უკანასკნელი თანხა არამიზანშეწონილად მიიჩნევა (იხილეთ §2 ზემოთ). მათი განცხადებით საათში 300 ევრო იურიდიული მომსახურებისათვის გადაჭარბებული იყო.

163. სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან არანაირი პრეტენზია არ იქნა განცხადებული მომჩივანი პარტიის სხვა წარმომადგენლებთან დაკავშირებით (იხ. §2 ზემოთ), არ არსებობს იმის საჭიროება, რომ მოხდეს მათთვის ანაზღაურების გადახდა სასამართლო საქმის განხილვაში მონაწილეობისათვის.

164. რაც შეეხება მომჩივანი პარტიის სახელით გამოსვლას ქ-ნ. რინკეანუს სახით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს არ იზღუდება ადგილობრივი გადასახადის მასშტაბითა და გამოციდლებით (იხ. ასანიძის საქმე, აღნიშნულია ზემოთ, § 206). უფრო მეტიც, მეორე თანხა 21,420 ევრო, არ იყო ნაჩვენები, რომ მიზანშეწონილია ან აუცილებელია მომჩივანი პარტიის სასარგებლოდ (იხ., ასანიძის საქმე, აღნიშნულია ზემოთ, § 206; ტოლსტოი მილოსლავსკი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, 1995 წ. 13 ივლისის სასამართლო გადაწყვეტილება, Series A no. 316-B, გვ. 83, § 77; მალამა საბერძნეთის წინააღმდეგ (მხოლოდ დაკმაყოფილებული), no. 43622/98, § 17, 18 აპრილი, 2002). ამიტომ საჩივრის ეს ნაწილი სრულად არ არის გაზიარებული სასამართლოს მიერ.

165. სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე, სასამართლო აკისრებს მომჩივანი პარტიას 10.000 ევროს სასამართლოს წინაშე ქალბ. რინკეანუს გამოსვლასთან დაკავშირებით.

საურავი

166. სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოსხენებულისგან გამომდინარე, სასამართლო

1. ერთხმად აცხადებს, რომ მომჩივანი მხარეს შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს „მსხვერპლის” სტატუსზე №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევიდან გამომდინარე, კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით;

2. ერთხმად აცხადებს, რომ ადგილი არ ჰქონია №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევას, როცა 2004 წ. 27 თებერვალს შემოღებულ იქნა ამომრჩეველთა რეგისტრაციის ახალი სისტემა 2004 წ. 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნებისათვის;

3. აცხადებს, 5 ხმით 2-ის წინააღმდეგ, რომ ადგილი არ ჰქონია №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევას საარჩევნო კომისიების შემადგენლობასთან მიმართებაში;

4. ერთხმად აცხადებს, რომ ადგილი ჰქონდა №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევას ხულოსა და ქობულეთის ამომრჩევლებისათვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით;

5. ერთხმად აცხადებს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას, №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან კავშირში;

6. ერთხმად აცხადებს, რომ დადგენილი დარღვევა თავისთავად საკმარისია, იმისათვის რომ დაკმაყოფილდეს მომჩივანი მხარისათვის მიყენებული მორალური ზიანი;

7. ერთხმად ადგენს, რომ,

- ა) მოპასუხე სახელმწიფომ, მომჩივანს, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს 10.043 (ათი ათას ორმოცდასამი) ევრო გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;
- ბ) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოსხენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი ;

8. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2008 წ. 8 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სალი დოლე
სექციის განმწესრიგებელი

ფრანსუზ ტულკენსი
პრეზიდენტი

კონვენციის 45§2 მუხლისა და სასამართლო რეგლამენტის 74§2 მუხლის შესაბამისად, შემდეგი მოსაზრებები დაერთვება ამ სასამართლო გადაწყვეტილებას:

- (ა) მოსამართლე მულარონის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება
- (ბ) მოსამართლე პოპოვიჩის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება

მოსამართლე მულარონის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

მე სრულად ვეთანხმები უმრავლესობის აზრს, მომჩივანი მხარის დაზარალებულის სტატუსთან და მის მიერ წარმოდგენილ პირველ საჩივართან დაკავშირებით არსებულ მიზეზებსა და დასკვნებში, კერძოდ ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემაზე.

შესაბამისად, ეს მოსაზრება შეეხება სხვა ორ საჩივარს, კერძოდ საარჩევნო კომისიების შემადგენლობა და მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული არჩევნების შედეგებიდან ხულოსა და ქობულეთის რაიონების საარჩევნო ოლქების გამოთიშვა.

ა. საარჩევნო კომისიების შემადგენლობა

როგორც უმრავლესობა აღიარებს, ევროპაში არ არსებობს ერთიანი სისტემა საარჩევნო ადმინისტრაციული ორგანოების შემადგენლობისა და ფუნქციონირების შესახებ (იხილეთ სასამართლო გადაწყვეტილების 58–69 და 103 პარაგრაფები). შესაბამისად, ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ მაღალი შეფასება და შერჩეული სისტემა ვერ შეაფერხებს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნისას ხალხის თავუსუფლად გამოხატვის უფლებას.

სასამართლოს შეფასებისთვის გადამწყვეტი ელემენტია ის, რომ საბოლოო ჯამში აღმოჩენილი დარღვევები არის თუ არა იმ რაოდენობით და მნიშვნელობით, რომ ირღვეოდეს №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი.

უმრავლესობის მსგავსად, მიმაჩნია, რომ საარჩევნო კომისიების წევრების სრული რაოდენობა, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის მიერ იყვნენ დანიშნულნი, იყო განსაკუთრებით მაღალი ევროპაში არსებულ სისტემასთან შედარებით (იხ. სასამართლო გადაწყვეტილების 105–106 პარაგრაფები).

მიუხედავად ამისა, მხოლოდ ეს ელემენტი ჩემთვის საკმარისი არ არის, რომ აღმოვაჩინო დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან:

–საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრები არ შეადგენდნენ უმრავლესობას თვითონ კომისიებში; და

–მიმაჩნია, რომ სასამართლოს ამოცანაა განიხილოს სასამართლოში შემოსული ინდივიდუალური საქმის სპეციფიკური გარემოებები და არა თეორიული საკითხები.

როგორც უკვე განვაცხადე, უმრავლესობისგან განსხვავებით მიმაჩნია, რომ ადგილი ჰქონდა № 1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოდგენილ საქმეში. არ ვიზიარებ იმ შეხედულებას, რომ მომჩივანი პარტიის მიერ წარმოდგენილი შჩ / I ღ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიში 2004 წ. 28 მარტის განმეორებით საპარლამენტი არჩევნებზე საკმარისი არ არის (იხ. სასამართლო გადაწყვეტილების 50–53

ანგარიში, რომელიც წარმოდგენილ იქნა მთავრობის მიერ, როგორც მათი არგუმენტები, მოიცავს კერძოდ შემდეგ ნაწილებს:

“ცესკომ (ცენტრალური საარჩევნო კომისია) ეს არჩევნები ჩაატარა პროფესიონალურ დონეზე და შესაბამისად შედეგებიც ნდობას იმსახურებს. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ ზოგჯერ ცესკო აჭარბებდა თავის უფლებამოსილებას, მაგალითად როცა აგრძელებდა ვადებს ან ცვლიდა იურიდიულ დებულებებს ბრძანებების საფუძველზე. საარჩევნო პროცესის ზოგიერთი ასპექტები გაუმჯობესდა წინა არჩევნებთან შედარებით, თუმცა ზოგიერთი ცესკოს გადაწყვეტილება არჩევნების შემდგომ პერიოდში ეჭვს ბადებს ცესკოს მიუკერძოებასთან დაკავშირებით...

პრობლემას იწვევდა საარჩევნო კომისიებში პოლიტიკური ბალანსის ნაკლებობა. ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიებმა და საუბნო საარჩევნო კომისიებმა ვერ მოახერხეს შესაბამისი დისტანცია ჰქონოდათ მმართველ პარტიასთან და ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ერეოდა დაბალი ინსტანციის საარჩევნო კომისიების მუშაობაში. ამ პრობლემების გათვალისწინებით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წინადადებით გამოვიდა და თავისი წარმომადგენლები საოლქო და საუბნო კომისიებში 5 წევრიდან სამამდე შეამცირა. მიუხედავად ამისა, ეს ცვლილებები დაგვიანებით გამოჩნდა საარჩევნო პროცესში.

მთელ რიგ საოლქო კომისიებში შედეგების დათვლის პროცესი რეგიონალურ დონეზე გამოირჩეოდა დარღვევებით. ზოგიერთ შემთხვევაში, საარჩევნო მასალები მოჰქონდათ დალუქვის გარეშე ან არადაექვატურად დაცული, პროტოკოლები შევსილი ან შეცვლილი იყო საოლქო კომისიების დონეზე, იყო შემთხვევა, როცა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები „მოლაპარაკებებს“ აწარმოებდნენ შედეგებზე. ასევე არაადექვატური რეაგირება მოჰყვებოდა არჩევნებთან დაკავშირებულ საჩივრებს ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში.

ცესკოს მიერ ჩატარებულმა საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ანალიზმა აჩვენა უამრავი დაუჯერებელი და უცნაური შედეგი რამდენიმე უბანში. ასეთი უცნაურობები, მათ შორის ამომრჩეველთა სწრაფი ზრდა არჩევნების პროცესის ბოლო სამი საათის განმავლობაში; დაუჯერებელი რაოდენობა ამომრჩეველების, ზოგ შემთხვევაში 100%-ს აჭარბებდა და ზოგჯერ მმართველი პარტიების ხმების წილი 95% აჭარბებდა, და იყო აგრეთვე შემთხვევები, როცა იყო გაუქმებული ხმების უჩვეულოდ დიდი პროცენტული მაჩვენებელი.

დარღვევების გამო სულ გაუქმდა 52 საარჩევნო უბანი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ. ცესკომ გააუქმა შედეგები აჭარის ორ ოლქში (ხულო და ქობულეთი) და განმეორებითი არჩევნები დაინიშნა 18 აპრილს, რომელიც უსაფრთხოების გამო არ ჩატარებულა. ცესკოს გადაწყვეტილება გაუქმებინა შედეგები და განმეორებითი არჩევნები დაინიშნა მთელს ოლქებში აღმოჩნდა, რომ ეფუძნებოდა ისეთ იურიდიულ არგუმენტებს, რომლებიც კითხვებს ბადებს...

ფაქტიურად ცესკომ მარტივად გააუქმა მთელი ოლქის შედეგები, ისე რომ არ მომხდარა მოწმეთა ჩვენებების მოსმენა ან თითოეულ საუბნო კომისიაში გარემოებების გამოძიება ან იმის დადგენა, გაუქმებულ საარჩევნო უბნებზე იყო თუ არა საკმარისი ხმების რაოდენობა, იმისათვის რომ დაკმაყოფილებულიყო 105-ე მუხლის § 12 –ში აღნიშნული კრიტერიუმები. უფრო მეტიც, ცესკოს არ განუხილავს ეს საარჩევნო დოკუმენტები. სხვაგანაც, სადაც შედეგები გაბათილდა, ეს მოხდა საუბნო საარჩევნო კომისიების და ადგილობრივი სასამართლოების დონეზე.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დარღვევებს ჰქონდა ადგილი ხულოსა და ქობულეთის რაიონებში, გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გაუქმებულიყო ამ ოლქების შედეგები და ჩატარებულიყო განმეორებითი არჩევნები შესაბამისობაში არ მოდიოდა იმ ფაქტთან, რომ სხვა ოლქებში არსებული ძირითადი დარღვევები არ დასრულებულა საოლქო საარჩევნო უბნებში არჩევნების შედეგების გაბათილებით...”

ეს საკმარისზე მეტია ჩემთვის იმისათვის, რომ დავადგინო რომ №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი დარღვეულია ამ მიმართულებით.

ბ. ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო უბნების გამოთიშვა მთელი ქვეყნის არჩევნების შედეგებიდან 2004 წ. 18 აპრილს

მე ვიზიარებ უმრავლესობის დასკვნას, რომ დარღვეულია №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი. თუმცა, მე ამ დასკვნამდე მივედი იმ მიზეზების გამო, რომლებიც ნაწილობრივ განსხვავდება ჩემი კოლეგების მოსაზრებებისგან.

დავიწყებ იმით, რომ ჩემი ანალიზი შემოიფარგლება იმით, რომ ვერ მოხერხდა ხულოსა და ქობულეთი საარჩევნო უბნებში განმეორებითი არჩევნების ჩატარება და 2004 წ. 18 აპრილის შედეგებში მისი წარმოდგენა.

მე არ ვიზიარებ უმრავლესობის მიდგომას, ცესკოს 2004 წ. 2 აპრილის ბრძანების გამო, ამ ოლქებში საარჩევნო შედეგების გაუქმების გამოძიებასთან დაკავშირებით (სასამართლო გადაწყვეტილება §§ 126–130). მიმაჩნია, რომ ეს ასპექტი ჩვენი გამოძიების მასშტაბების მიღმაა, მომჩივანს არასდროს წამოუყენებია ეს საკითხი ჩვენი სასამართლოს (იხ. საჩივრები, §70, ზემოთ) ან ადგილობრივი სასამართლოს წინაშე ძალიან მარტივი და გასაგები მიზეზის გამო: 2004 წ. განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში მომჩივანი მხარემ ვერ გადალახა 7% –იანი ბარიერი, რომელიც საჭირო იყო პარალელურ შესასვლელად. შესაბამისად ის ძალზედ დაინტერესებული იყო ჩატარებულიყო განმეორებითი არჩევნები.

რადგანაც ჩვენი სასამართლოს ფუნქციაა განიხილოს განმცხადებლის მიერ შემოტანილი სარჩელები, მე ვერ ვხედავ ვერანაირ მიზეზს განვიხილოთ საკითხი, რომელიც საფუძვლიანად იქნა გამოძიებული და გაკრიტიკებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

რაც შეეხება იმას, რომ მოპასუხე სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო განმეორებითი არჩევნების ჩატარება ხულოსა და ქობულეთში, ამასთან დაკავშირებით განვაცხადებ შემდეგს.

მთავრობამ აღიარა მარცხი ამ კუთხით, მაგრამ მიიჩნია, რომ ამაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ აჭარის ხელისუფლებას ეკისრა (სასამართლო გადაწყვეტილების §§ 112–113 და 131).

ის ფაქტი, რომ ცენტრალურ და აჭარის ხელისუფლებებს შორის არსებობდა დაძაბულობა 18 მარტის და 18 აპრილის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების წინ ასევე დასტურდება ზემოხსენებული OSCE/ODIHR საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის ანგარიშითაც (პარაგრაფები 50-53). ამ ანგარიშით ასევე ნათელი გახდა ის პრობლემები, რომლებიც არსებობდა წინა საარჩევნო პერიოდში აჭარაში, სადაც დაგვიანებული და ძალიან შეზღუდული საარჩევნო კამპანია იმართებოდა და მედია არ სარგებლობდა სიტყვის თავისუფლების და აზრის გამოხატვის უფლებით.

შესაბამისად, ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს მოპასუხე მხარის, მთავრობის არგუმენტის მიღება, რომ სიტუაცია იყო რთული და სახიფათო და რომ აჭარის ხელისუფლებას უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია, იმაზე რაც მოხდა.

მიუხედავად ამისა, ფაქტი ფაქტად რჩება, არანაირი არჩევნები არ ჩატარებულა ამ ორ საარჩევნო ოლქში.

ყურადღებას მივაქცევ იმ ფაქტს, რომ არანაირი ინფორმაცია კანონიდან გადახრის თაობაზე არ იქნა გადაცემული მოპასუხე მხარის, მთავრობის მხრიდან ევროსაბჭოს გენერალური მდივნისთვის, კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად. ეს ერთადერთი გზაა ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოებისათვის კანონიერად გათავისუფლდნენ კონვენციით და მისი პროტოკოლებით განსაზღვრული ვალდებულებებისგან და რასაც მოჰყვება ევროსაბჭოს და კონვენციის სტრუქტურების მხრიდან მკაცრი შემოწმება, მიღებული ზომების აუცილებლობის, კანონიერების და პროპორციულობის თაობაზე.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, არ არის საჭირო სხვა მიზეზი იმისათვის, რომ დავასკვა, ამ მიმართულებით დარღვეულია №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი.

მოსამართლე პოპოვიჩის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

მე ვუერთდები მოსამართლე მულარონის მოსაზრებას, საარჩევნო კომისიების შემადგენლობასთან დაკავშირებით.